როლანდ თოფჩიშვილი, ელენე მეძმარიაშვილი,
ნოდარ ელიზბარაშვილი, გიორგი ავთანდილაშვილი

ჩვენი საქართველო 5

მოსწავლის წიგნი

პირველი ნაწილი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს

გამომცემლობა „კლიო“

როლანდ თოფჩიშვილი, ელენე მეძმარიაშვილი,
ნოდარ ელიზბარაშვილი, გიორგი ავთანდილაშვილი

ჩვენი საქართველო, V კლასი, პირველი ნაწილი

მოსწავლის წიგნი

სერიის რედაქტორი ელენე მეძმარიაშვილი

მხატვარი ივანე ყიფშიძე

რუკები ზურაბ ლაოშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
მამუკა ლოლაძე
ნანა ესართია

ყდის დიზაინი
ელენე ვარამაშვილი

© გამომცემლობა „კლიო“, 2018
© როლანდ თოფჩიშვილი, ელენე მეძმარიაშვილი,
ნოდარ ელიზბარაშვილი, გიორგი ავთანდილაშვილი, 2018

მეორე გამოცემა — 2019 წელი

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-481-06-2 (ორივე ნაწილის)
ISBN 978-9941-481-07-9 (პირველი ნაწილის)

შპს „გამომცემლობა კლიო“
აღმაშენებლის გამზ. №181-2,
თბილისი, 0112
ტელ.: (+995 32) 234 04 30
E-mail: book@klio.ge
www.klio.ge

შინაარსი

გაკვეთილის სტრუქტურა 4
საქართველოს ფიზიკური რუკა 6
საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების რუკა 8

შესავალი 10
1. ვიქტორინა „ჩვენი საქართველო“ 11
2. რა გვეხმარება ჩვენი სამშობლოს მხარეების შესწავლაში 12
3. რუკა 14
4. ჰორიზონტის მხარეები 16
5. ადგილის გეგმა 18
6. მოვლენების დროში განსაზღვრა 20
7. წელთაღრიცხვა 22
როგორ ვიკვლიოთ 24

კარი 1

ქართლი 26
1.1. ქართლი – საქართველოს გეოგრაფიული ცენტრი 28
1.2. ქართლი – საქართველოს პოლიტიკური ცენტრი 30
1.3. ქართლი და მისი მეზობელი მხარეები 32
1.4. ქართლის ციხე-სიმაგრეები 34
1.5. მრავალეროვანი ქართლი 36
1.6. დასახლების ტიპები ქართლში 40
1.7. მეურნეობის დარგები ქართლში 42
1.8. ურთიერთდახმარების ტრადიცია 45
რა ვიცი და რა შემიძლია 48

კარი 2

იმერეთი 50
2.1. იმერეთის მდებარეობა და ბუნება 52
2.2. დასახლების ტიპები იმერეთში 56
2.3. იმერელთა სამეურნეო საქმიანობა 59
2.4. კულტურის ძეგლები იმერეთში 62
2.5. ყოველდღიური ცხოვრება იმერეთში 64
2.6. იმერეთის ქალაქები 66
რა ვიცი და რა შემიძლია 68

გაკვეთილის სტრუქტურა



1 რა გვეხმარება ჩვენი სამშობლოს მხარეების შესწავლაში

მეცნიერების რომელი დარგი და როგორ სწავლობს ჩვენი სამშობლოს მხარეებს?

ხალხისა და ქვეყნის წარსულის შესასწავლად მეცნიერები სხვადასხვა საშუალებას იყენებენ. უპირველესად, ეს არის წერილობითი წყაროები. ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, მას შემდეგ, რაც ადამიანებმა დამწერლობა შექმნეს, **მემატიანეები** აღწერდნენ მომხდარ ფაქტებს. ადამიანები მოგზაურობდნენ და ასევე აღწერდნენ მათგან განსხვავებული კულტურისა და ტრადიციის მქონე ხალხებს; აფიქსირებდნენ ადამიანთა ჯგუფების მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლას, ანუ მიგრაციას, სახელმწიფოების წარმოქმნას, ომებს, ხალხთა შორის ურთიერთობის სხვა ფორმებს; როგორი სამოსი, საცხოვრებელი, საკვები, სატრანსპორტო საშუალებები ჰქონდათ მათთვის უცნობ თუ ნაცნობ ხალხებს. მემატიანეთა მიერ დაფიქსირებულ ყველა ამ და სხვა მოვლენას ისტორიკოსები სწავლობენ. ასე რომ, **ისტორია** ადამიანის, ხალხებისა და ქვეყნების წარსულის შემსწავლელი მეცნიერებაა.

წარსულის შესწავლაში გვეხმარება **არქეოლოგიაც**, რომელიც მეცნიერულად სწავლობს მინისქვეშ არსებული ძველი კულტურის ნაშთებს.

წყარო 1. ჰეროდოტე მსოფლიოში პირველ ისტორიკოსად ითვლება

ლექსიკონი

ისტორია – ძველბერძნული სიტყვაა და თხრობას ნიშნავს.

მემატიანე – ისტორიული მოვლენების წერილობით გადმომცემი. ძველად ისტორიკოსს ასე ერქვა.

არქეოლოგია ბერძნული სიტყვაა. „არქაოს“ ძველს ნიშნავს, „ლოგოს“ – მოძღვრებას.

წყარო 2. არქეოლოგიური სამუშაოები ძოუძუანას მღვიმეში. იმერეთი

დავალება

1. რას სწავლობს ისტორია?
2. რას სწავლობს არქეოლოგია?

12 | ჩვენი საქართველო 5

წარსული ცხოვრების შესწავლაში ძალიან დიდი წვლილი შეაქვს **ეთნოგრაფიას**. ისტორიისა და არქეოლოგიისგან განსხვავებით, იგი თანამედროვეობასაც შეისწავლის. ეთნოგრაფიის ინტერესის საგანია სხვადასხვა ხალხის წარმომავლობა, მათ მიერ შექმნილი ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, ცხოვრების წესი. იგი სწავლობს ხალხის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას როგორც წარსულში, ასევე აწმყოში. თუ არქეოლოგი კულტურის წარსულ ნაშთებს მიწისქვეშ ეძებს, ეთნოგრაფი ამ კულტურის მოვლენებს ხალხში მოიპოვებს.

ჩვენი სამშობლოს შეცნობაში გვეხმარება **გეოგრაფიაც**. გეოგრაფია შეისწავლის დედამიწისა და მისი ცალკეული ნაწილების, ქვეყნების ბუნებას, მოსახლეობას, მეურნეობას, მათ ტერიტორიულ განლაგებასა და თავისებურებებს. ჩვენი სამშობლოს წარსული და კულტურა, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეთა თავისებურებები ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორებითაც არის განპირობებული. შესაბამისად, ისტორია, ეთნოგრაფია, გეოგრაფია ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

ლექსიკონი

ეთნოგრაფია ძველბერძნული სიტყვაა. „ეთნოს“ ხალხს ნიშნავს, „გრაფოს“ – აღწერას.

გეოგრაფია ბერძნული სიტყვაა. საფუძვლად უდევს „გე/გეა“, რაც დედამიწას და „გრაფო“ – აღწერას ნიშნავს.

დავალება

3. რას სწავლობს ეთნოგრაფია? შენი აზრით, როგორ დაგეხმარება იგი შენი მხარის შესწავლაში.
4. რა არის გეოგრაფია და რას სწავლობს იგი?
5. მოიძიე სურათი, ფოტო და ნებისმიერი რამ, რომელიც აღწერს ა) შენი მხარის ბუნებას; ბ) შენი მხარისთვის დამახასიათებელ ცხოვრების წესს.

უძველესი ძაფი და თაფლი

დედამიწის ისტორიაში ყველაზე ძველი ძაფი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოაჩინეს. ქართველმა არქეოლოგებმა დასავლეთ საქართველოში, იმერეთში, ძოუძუანას გამოქვაბულში მიაკვლიეს ძველი ძაფის ნიმუშს. როდესაც მეცნიერულად შეისწავლეს, აღმოჩნდა, რომ იგი დაახლოებით 34 ათასი წლის წინ მცენარე სელისგან იყო დამზადებული. ასევე საქართველოში, ბორჯომის რაიონში, არქეოლოგიური გათხრების დროს, მეცნიერებმა ყველაზე ძველ თაფლს მიაკვლიეს. სავარაუდოდ, თიხის ჭურჭელი 5500 წლის წინანდელია და მასში თაფლი ინახებოდა.

წყარო 3. უძველესი თაფლი

ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ | 13

წინასიტყვაობა

ამ სახელმძღვანელოთი შენ ახალი საგნის – „ჩვენი საქართველო“ შესწავლას იწყებ. იგი დაგეხმარება საკუთარი ქვეყნის გაცნობაში; გაგიღვივებს ცნობისმოყვარეობას მისი წარსულისა და თანამედროვეობის მიმართ; გაიგებ, სად მდებარეობს შენი ქვეყანა; აღმოაჩენ მის ეთნიკურ, კულტურულ თუ რელიგიურ მრავალფეროვნებას, მის უნიკალურ ბუნებას; გაიგებ, რით და როგორ განსხვავდება ერთმანეთისგან საქართველოს მხარეები და მიხვდები, რომ ეს მრავალფეროვნება ჩვენი სამშობლოს სიმდიდრეა; დარწმუნდები, რომ ყველა მხარეს წვლილი მიუძღვის ერთიანი სახელ-მწიფოს მშენებლობაში.

გააცნობიერებ, რომ აქ მცხოვრები ყველა ადამიანი, მათ შორის, შენც და შენი თანატოლებიც საქართველოს მოქალაქეები ხართ; მიხვდები, რომ არა მარტო საკუთარ მხარესა და, ზოგადად, მთელ ქვეყანაზე უნდა იზრუნო, არამედ თვითონაც შექმნა მისი მომავალი. ამისთვის კი, საქართველოს კარგად უნდა იცნობდე.

ავტორთა კოლექტივი

საქართველოს ფიზიკური რუკა

41°
42°
43°
43°
42°
41°
41°
42°
43°
კავკასიონი
რუსეთი
ზღვა
თურქეთი
ზ ი ფ ი ს ქ ე დ ი
ბ ა ტ ო ნ ი ს ქ ე დ ი
ბ ო ლ ნ


ПИРОБИТИ АЦНИШВНЕБИ
დასახლებული პუნქტები
სიღრმეები და სიმაღლეები, მ
სახელმწიფოს დედაქალაქი
ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი
მხარის ცენტრი
მუნიციპალიტეტის ცენტრი
სხვა დასახლებული პუნქტი
გზები
ავტომაგისტრალი
გზატკეცილი
რკინიგზა
საზღვაო გზა
საზღვრები
სახელმწიფოს
ავტონომიური რესპუბლიკის
მხარის
ჰიდროგრაფია
მდინარე
ტბა, წყალსაცავი
მყინვარი
ჭაობი
სხვა აღნიშვნები
2494 სიმაღლითი ნიშნული
3367 უღელტეხილი
უფრო ღრმა
1500
500
200
100
0
100
200
500
1000
1500
2000
2500
3000
3500
უფრო მაღალი
44°
45°
46°
42°
41°
ედამრაცია
ლჩიკი
ბაქსანი
ტერეკი
ელხოტოვო
ბესლანი
ნაზრანი
ალაგირი
ბროზნო
მაგასი
ურუს-მართანი
ვლადიკავკაზი
ბურონი
მამისონის ულ.
2820
2995
როკის ულ.
5033
მ. მყინვარწვერი
სტეფანწმინდა
ჯვრის ულ.
2379
ბარისახო
ფასანაური
ლომის-ალევის ქბ.
ცხინვალი
ახალგორი
ოსეთი
ქართლი
ურბნისი
ხაშური
გორი
დიდი ატენი
ტბილისი
მცხეთა
საგურამოს ქდ.
3578
4285
4493
3294
1991
2757
3301
3196
2344
2725
ბოლნისი
ბორჯომი
ახალქალაქი
ნინოწმინდა
ალავერდი
ახტალა
ყაზახი
ახალციხე
ადიგენი
ასპინძა
ბაზალეთი
ბოგდანოვკა
ალექსანდროპოლი
ბაზალეთის ტბა
ფარავნის ტბა
მადათაფის ტბა
ალაზანი
ივრი
ბორჩალო
ქვემო ქართლი
ზემო ქართლი
ქიზიყი
ბორჯომ-ახალციხის ქედი
ლიხის ქედი
ალაზანი
ივრი
ალგეთი
ბაქსანი
ტერეკი
ბერგი
ბერგი
ალაგირი
ბურონი
ფასანაური
ბარისახო
ცხინვალი
ახალგორი
ოსეთი
ურბნისი
ხაშური
ბოლნისი
ბორჯომი
ახალციხე
ადიგენი
ასპინძა
ბაზალეთი
ბოგდანოვკა
ალექსანდროპოლი
ბაზალეთის ტბა
ფარავნის ტბა
მადათაფის ტბა
ალაზანი
ივრი
ბორჩალო
ქვემო ქართლი
ზემო ქართლი
ქიზიყი
ბორჯომ-ახალციხის ქედი
ლიხის ქედი

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების რუკა



ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ:

1 - მაღრან-დვალეთი
2 - თრუსო
3 - მთის რაჭა
4 - კუდარო
5 - ხანდო
6 - ჭართალო
7 - გუდამაყარი
8 - თბილისი

სახელმწიფო საზღვარი

საზღვარი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს შორის

ზღვის სანაპირო

ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘ 1: 2 400 000

შესავალი

შესავალში გაიგებ, თუ რა დაგეხმარება შენი ქვეყნის შესწავლაში. სად მდებარეობს საქართველო; რა არის ქრონოლოგია და რას ნიშნავს დროის ხაზი, რა არის რუკა, როგორ უნდა „წაიკითხო“ ის და როგორ დაიტანო მასზე საჭირო ინფორმაცია; რა გავლენას ახდენს საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა მის ბუნებრივ პირობებსა და განვითარებაზე; რატომ დაიყო იგი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებად; გაარკვევ, როგორ შეგიძლია შენი მხარის უკეთ შესწავლა; რამდენად მრავალფეროვანია წყაროები, რომელიც ამაში დაგეხმარება.

ვიქტორინა „ჩვენი საქართველო“

წარმოიდგინე, რომ საქართველოში ტარდება მოსწავლეთა ფესტივალი დევიზით „მე და ჩემი ქვეყანა“. მონაწილეობის მისაღებად საჭიროა მოცემული ანკეტის შევსება.

1. გადახაზე ანკეტა რვეულში და შეავსე ნიმუშის მიხედვით.

სახელი	ანა
გვარი	გიორგაძე
შენი მისამართი: ქუჩა/უბანი/დაბა/სოფელი	ალ.ჭავჭავაძის 11
ქალაქი/დაბა/სოფელი	ქ. თბილისი
მხარე, სადაც მდებარეობს შენი ქალაქი/სოფელი	ქართლი
დაწერე სამი ყველაზე ღირსშესანიშნავი რამ, რაც იცი შენს მხარეზე/ ქვეყნაზე	1. ბოტანიკური ბაღი 2. ბირთვისის ციხე 3. შავი ზღვა

2. შეაჯერეთ თქვენი ანკეტები და გამოავლინეთ, რომელმა ღირსშესანიშნაობამ „მიიღო“ ყველაზე მეტი ხმა; მოიპოვეთ ინფორმაცია ამ ღირსშესანიშნაობის შესახებ, მოამზადეთ ის საპრეზენტაციოდ და წარუდგინეთ თქვენი ნამუშევრები კლასს; მოაწყეთ თქვენი ნამუშევრების გამოფენა.

1 რა გვეხმარება ჩვენი სამშობლოს მხარეების შესწავლაში

მეცნიერების რომელი დარგი და როგორ სწავლობს ჩვენი სამშობლოს მხარეებს?



წყარო 1. ჰეროდოტე მსოფლიოში პირველ ისტორიკოსად ითვლება

ხალხისა და ქვეყნის წარსულის შესასწავლად მეცნიერები სხვადასხვა საშუალებას იყენებენ. უპირველესად, ეს არის წერილობითი წყაროები. ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, მას შემდეგ, რაც ადამიანებმა დამწერლობა შექმნეს, **მემატიანეები** აღწერდნენ მომხდარ ფაქტებს. ადამიანები მოგზაურობდნენ და ასევე აღწერდნენ მათგან განსხვავებული კულტურისა და ტრადიციის მქონე ხალხებს; აფიქსირებდნენ ადამიანთა ჯგუფების მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლას, ანუ მიგრაციას, სახელმწიფოების წარმოქმნას, ომებს, ხალხთა შორის ურთიერთობის სხვა ფორმებს; როგორი სამოსი, საცხოვრებელი, საკვები, სატრანსპორტო საშუალებები ჰქონდათ მათთვის უცნობ თუ ნაცნობ ხალხებს. მემატიანეთა მიერ დაფიქსირებულ ყველა ამ და სხვა მოვლენას ისტორიკოსები სწავლობენ. ასე რომ, **ისტორია** ადამიანის, ხალხებისა და ქვეყნების წარსულის შემსწავლელი მეცნიერებაა.

წარსულის შესწავლაში გვეხმარება **არქეოლოგიაც**, რომელიც მეცნიერულად სწავლობს მიწისქვეშ არსებული ძველი კულტურის ნაშთებს.



წყარო 2. არქეოლოგიური სამუშაოები ძუძუანას მღვიმეში. იმერეთი

ლექსიკონი

ისტორია – ძველბერძნული სიტყვაა და თხრობას ნიშნავს.

მემატიანე – ისტორიული მოვლენების წერილობით გადმომცემი. ძველად ისტორიკოსს ასე ერქვა.

არქეოლოგია ბერძნული სიტყვაა. „არქაოს“ ძველს ნიშნავს, „ლოგოს“ – მოძღვრებას.

დავალება

1. რას სწავლობს ისტორია?
2. რას სწავლობს არქეოლოგია?

წარსული ცხოვრების შესწავლაში ძალიან დიდი წვლილი შეაქვს **ეთნოგრაფიას**. ისტორიისა და არქეოლოგიისგან განსხვავებით, იგი თანამედროვეობასაც შეისწავლის. ეთნოგრაფიის ინტერესის საგანია სხვადასხვა ხალხის წარმომავლობა, მათ მიერ შექმნილი ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, ცხოვრების წესი. იგი სწავლობს ხალხის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას როგორც წარსულში, ასევე აწმყოში. თუ არქეოლოგი კულტურის წარსულ ნაშთებს მიწისქვეშ ეძებს, ეთნოგრაფი ამ კულტურის მოვლენებს ხალხში მოიპოვებს.

ჩვენი სამშობლოს შეცნობაში გვეხმარება **გეოგრაფიაც**. გეოგრაფია შეისწავლის დედამიწისა და მისი ცალკეული ნაწილების, ქვეყნების ბუნებას, მოსახლეობას, მეურნეობას, მათ ტერიტორიულ განლაგებასა და თავისებურებებს. ჩვენი სამშობლოს წარსული და კულტურა, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეთა თავისებურებები ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორებითაც არის განპირობებული. შესაბამისად, ისტორია, ეთნოგრაფია, გეოგრაფია ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

ლექსიკონი

ეთნოგრაფია ძველბერძნული სიტყვაა. „ეთნოს“ ხალხს ნიშნავს, „გრაფოს“ – აღწერას.

გეოგრაფია ბერძნული სიტყვაა. საფუძვლად უდევს „გე/გეა“, რაც დედამიწას და „გრაფო“ – აღწერას ნიშნავს.

დავალება

3. რას სწავლობს ეთნოგრაფია? შენი აზრით, როგორ დაგეხმარება იგი შენი მხარის შესწავლაში.
4. რა არის გეოგრაფია და რას სწავლობს იგი?
5. მოიძიე სურათი, ფოტო და ნებისმიერი რამ, რომელიც აღწერს ა) შენი მხარის ბუნებას; ბ) შენი მხარისთვის დამახასიათებელ ცხოვრების წესს.

5

უძველესი ძაფი და თაფლი

დედამიწის ისტორიაში ყველაზე ძველი ძაფი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოაჩინეს. ქართველმა არქეოლოგებმა დასავლეთ საქართველოში, იმერეთში, ძუძუანას გამოქვაბულში მიაკვლიეს ძველი ძაფის ნიმუშს. როდესაც მეცნიერულად შეისწავლეს, აღმოჩნდა, რომ იგი დაახლოებით 34 ათასი წლის წინ მცენარე სელისგან იყო დამზადებული. ასევე საქართველოში, ბორჯომის რაიონში, არქეოლოგიური გათხრების დროს, მეცნიერებმა ყველაზე ძველ თაფლს მიაკვლიეს. სავარაუდოდ, თიხის ჭურჭელი 5500 წლის წინანდელია და მასში თაფლი ინახებოდა.

წყარო 3. უძველესი თაფლი

2 რუკა

რაზე გვიყვება რუკა?

წყარო 1. მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი რუკა

თვალის ერთი გადავლებით მთელი მსოფლიოს „მონახულება“ მხოლოდ **გლობუსისა და რუკის** მეშვეობით არის შესაძლებელი. რუკების შექმნის ისტორია ათასწლეულებს ითვლის. მსოფლიოს უძველესი რუკა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, თითქმის 2 ათასი წლისაა. იგი ძველმა ბერძენმა გეოგრაფებმა შექმნეს.

რუკის მეშვეობით წარმოდგენა გვექმნება დედამიწის ზედაპირის ან მისი ნაწილის შესახებ. ნებისმიერი ტერიტორიის რუკაზე გამოსახვა მის შემცირებას მოითხოვს. ტერიტორიის შესამცირებლად **მასშტაბი** გამოიყენება. იგი სამი სახისაა: **წვრილი, საშუალო და მსხვილი.** რაც უფრო დიდია ტერიტორია, მით უფრო მეტადაა საჭირო მისი დაპატარავება (დაწვრილება). მსხვილმასშტაბიან რუკებს **ადგილის გეგმასაც** უწოდებენ.

რუკაზე დედამიწის ნებისმიერი გეოგრაფიული ობიექტის ასახვა არის შესაძლებელი. ამისათვის **პირობით აღნიშვნებს** იყენებენ. მაგალითად, მდინარე ლურჯი და კლაკნილი ხაზით გამოისახება, ტბა და წყალსაცავი – ლურჯი ფერით, სახელმწიფო საზღვარი – წყვეტილი ხაზით, ეკლესია – ჯვრის, ხოლო საზღვაო ნავსადგური – ღუზის ფორმის ნიშნით, მწვერვალი – სამკუთხედის ან წერტილის მეშვობით და ა.შ.

პირობითი აღნიშვნებით შესაძლებელია რუკის „კითხვა“. მათ, ტექსტურ განმარტებებთან ერთად, **რუკის ენას** ანუ **ლეგენდას** უწოდებენ. ლეგენდა რუკის რომელიმე თავისუფალ ნაწილშია (ძირითადად ქვედა კუთხეში) წარმოდგენილი.





წყარო 2. საქართველოს წვრილმასშტაბიანი რუკა და ლეგენდა

რუკის მეშვეობით შესაძლებელია: გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობისა და ფორმის დადგენა, მანძილის გაზომვა, ფართობის გამოთვლა, ადგილის სიმაღლის განსაზღვრა და სხვ. შინაარსით დაკავშირებულ რუკებს ერთად აჯგუფებენ, რის შედეგადაც **ატლასი** მიიღება.

რუკა გეოგრაფიისა და ისტორიის შესწავლის ერთ-ერთი საშუალებაა. იგი, გარდა განათლებისა, მეცნიერების სხვადასხვა დარგშიც გამოიყენება. რუკა შეუცვლელია მოგზაურობისას, სამხედრო საქმეში, სოფლის მეურნეობაში და სხვ. უკვე დიდი ხანია რუკების შესადგენად კომპიუტერს იყენებენ. მათ **ციფრულ (ელექტრონულ) რუკებს** უწოდებენ. მათზე ობიექტების მოძებნა გაცილებით ადვილია, რაშიც მონაცემთა ბანკი გვეხმარება. თანამედროვე რუკების შესადგენად აერო და კოსმოსურ სურათებსაც იყენებენ.

წყარო 3. გლობუსი დედამიწის შემცირებული მოდელია

წყარო 4. თბილისის გამოსახულება ციფრულ რუკაზე

ДАВАЛЕБА

1. რა არის საჭირო დიდი ტერიტორიის რუკაზე გამოსახვისთვის?
2. რამდენი სახის არის მასშტაბი?
3. რას იყენებენ რუკაზე გეოგრაფიული ობიექტების გამოსახვის მიზნით?
4. როგორ არის შერჩეული პირობითი აღნიშვნები?
5. რას ეწოდება რუკის ენა და სად არის ის რუკაზე განთავსებული?
6. მოიძიე ინტერნეტში, წყარო 4-ის მაგალითით, შენი მხარის გამოსახულება.
7. მოიძიე შენი მხარის გამოსახულებაზე გეოგრაფიული ობიექტები (მთა, მდინარე, ხეობა, წყალსატევი და სხვ.). გაარკვიე, მასწავლებლისა და თანაკლასელების დახმარებით, მათი სახელწოდება.

ЛЕКСИКОНИ

რუკა – დედამიწის ზედაპირის ან მისი ნაწილის შემცირებული გამოსახულება.

მასშტაბი – რუკაზე, გეგმაზე ან გლობუსზე ნამდვილი მანძილის შემცირების სიდიდე.

ლეგენდა – რუკაზე დატანილი პირობითი აღნიშვნებისა და მათი ტექსტური განმარტებების ერთობლიობა.

3 ჰორიზონტის მხარეები

რა მნიშვნელობა აქვს ჰორიზონტის მხარეების ცოდნას?

დედამიწის ზედაპირზე ადამიანის ხედვის არეში მოქცეულ სივრცეს **ჰორიზონტი** ეწოდება. სწორ ადგილზე ადამიანი საგნებს 4.5-5 კმ-მდე მანძილზე ხედავს. რაც უფრო მაღლა ადის, უფრო შორს ხედავს. იქ, სადაც ადამიანის მხედველობას ხელს არაფერი უშლის **ღია ჰორიზონტია**. ამ დროს იგი რამდენიმე ათეულ კილომეტრზე ხედავს მთებს თუ ვაკეებს, ქალაქებსა თუ სოფლებს. სამაგიეროდ ხეობებში, ტყეში, შენობა-ნაგებოებს შორის და სხვა ასეთ ადგილებში ჰორიზონტი იზღუდება და მას **დახურულ ჰორიზონტს** უწოდებენ.

ჰორიზონტს **ოთხი ძირითადი** და ამდენივე შუათანა მხარე აქვს. ჰორიზონტის ძირითადი მხარეებია: აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი. მათ შორისაა: ჩრდილო-აღმოსავლეთი, ჩრდილო-დასავლეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი.



ჩ – ჩრდილოეთი
ს – სამხრეთი
დ – დასავლეთი
ა – აღმოსავლეთი
ჩდ – ჩრდილო-დასავლეთი
ჩა – ჩრდილო-აღმოსავლეთი
სდ – სამხრეთ-დასავლეთი
სა – სამხრეთ-აღმოსავლეთი

წყარო 1. ჰორიზონტის მხარეები

უცნობ ადგილზე მოხვედრისას ადამიანს შეიძლება **ორიენტირება** (გაგნება) გაუჭირდეს. ამისთვის საჭიროა დავაკვირდეთ ჩვენს გარემომცველ ბუნებას. ყველაზე სწრაფად ჰორიზონტის მხარეებს მზის მეშვეობით დავადგენთ. მზე დილით აღმოსავლეთს გვიჩვენებს, შუადღისით – სამხრეთს, ხოლო საღამოთი – დასავლეთს. შუადღისას მზე, ხოლო შუაღამისას მთვარე დედამიწის ზედაპირზე ყველაზე მოკლე ჩრდილს წარმოქმნის. ამ დროს ჩრდილი ჩრდილოეთისკენ არის მიმართული. ღამით გაგნება მოხერხებულია პოლარული ვარსკვლავის მეშვეობითაც. იგი მუდმივად „ადგას თავზე“ **ჩრდილოეთ პოლუსს**.

ლექსიკონი

ორიენტირება – ადგილზე ჰორიზონტის მხარეების დადგენა.

ჩრდილოეთ პოლუსი – დედამიწის უკიდურესი ჩრდილოეთი ნაწილი, რომლის მიმართ დედამიწის სხვა ნებისმიერი ნაწილი სამხრეთის მიმართულებისაა.

დავალება

1. რა შემთხვევაშია ჰორიზონტი დახურული?
2. რამდენი მხარე აქვს ჰორიზონტს?
3. როგორ განვსაზღვროთ ჰორიზონტის მხარეები მზით ან მთვარით?

ჰორიზონტის მხარეებზე **მცენარეებიც** მიგვანიშნებს. მაგალითად, ხავსს ჩრდილი და ტენი იზიდავს. ის ძველი შენობების, დიდი ლოდებისა და ხემცენარეების ჩრდილოეთ ნაწილზე „სახლობს“. ხემცენარეებს ქერქი უფრო მუქი და უხეში ჩრდილოეთის მხრიდან აქვს. წვიმის შემდეგ ხის ქერქი უფრო სწრაფად სამხრეთიდან შრება. განცალკევებულად მდგომი ხის ტოტები ჩრდილოეთის მხარეს უფრო მოკლეა, ვიდრე სამხრეთის.

წყარო 2. ცალკე მდგომი ხე

მთის ფერდობები კარგად გვიჩვენებს ჰორიზონტის მხარეებს. თუ ერთ ფერდობზე ტყეებია, ხოლო მის მოპირდაპირეზე – მხოლოდ ბალახი, მაშინ ტყიანი ფერდობები ჩრდილოეთისკენ ყოფილა მიქცეული.

წყარო 3. მდ. არაგვის ხეობა. ხევსურეთი

ჰორიზონტის მხარეებზე **მწერებიც** მიგვანიშნებენ. მაგალითად, ჭიანჭველების ბუდეს ჩასასვლელი სამხრეთით აქვს.

გაზაფხულზე ორიენტირებისთვის **თოვლზე** ან **ყინულზე** დაკვირვებაც გამოგვადგება. იგი სამხრეთის მხრიდან უფრო ნაკლები სისქისაა და სწრაფად დნება.

ჰორიზონტის მხარეებზე **ქრისტიანული ეკლესიებიც** მიგვანიშნებს. მათ საკურთხეველი აღმოსავლეთის მხარეს აქვთ.

დავალება

4. დაადგინე ცალკე მდგომი ხის მიხედვით (წყარო 2) ჰორიზონტის მხარეები.
5. როგორ „მიგვანიშნებს“ მცენარეები ჰორიზონტის მხარეებზე (წყარო 3)?
6. შეამოწმე შენს მახლობლად არსებულ ეკლესიაში ჰორიზონტის რომელ მხარეს მდებარეობს საკურთხეველი.
7. განიხილე გაგნების სხვადასხვა სახე და განსაზღვრე მათი საიმედოობა.

4 ადგილის გეგმა

რისთვის გვჭირდება ადგილის გეგმა?

ადგილის გეგმებზე ჰორიზონტის მხარეებს მისი ჩარჩოს მეშვეობით ადგენენ. გეგმის მარჯვენა ნაწილი აღმოსავლეთია, მარცხენა – დასავლეთი, ქვედა – სამხრეთი, ხოლო ზედა – ჩრდილოეთი.

დედამიწის ზედაპირის მცირე უბნის, ან რაიმე საგნის ნახაზს, რომელიც მსხვილ მასშტაბშია შესრულებული **გეგმა** ეწოდება. გეგმაზე ობიექტები **ტოპოგრაფიული** ნიშნების საშუალებით გამოისახება.

დავალება

1. გაიხსენე, რა არის ჰორიზონტი და რომელი მხარეები აქვს მას.
2. გაიხსენე, რას უწოდებენ ადგილის გეგმას.



წყარო 1. ადგილის გეგმა

გეგმა გამოიყენება ორიენტირებისთვის, განსაკუთრებით, უცნობი ქალაქების დათვალიერებისას, გზების გაყვანისას, საინჟინრო საქმეში. მას აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს სამხედრო საქმეში.

დავალება

3. შეადგინე T დიაგრამა, სადაც ჩამოწერილი იქნება ძირითადი განსხვავება ადგილის გეგმასა და რუკას შორის.
4. გაეცანი წყარო 1-ზე მოცემულ ტოპოგრაფიულ ნიშნებს. გადაიწერე რვეულში.
5. ამოხსენი შენთვის უკვე ნაცნობი ტოპოგრაფიული ნიშნების საშუალებით ამოცანა: ჩემი -ის წინ ▬ გადის, რომელიც -კენ მიემართება, სახლის უკან კი -ა.
6. შეადგინე, ამ ნიშნების მიხედვით, შენი საცხოვრებლის ან სკოლის ადგილის გეგმა.

მარკო პოლო (1254 - 1324) – იტალიელი (ვენეციელი) მოგზაური. 17 წლის ასაკში მამასთან და ბიძასთან ერთად გაემგზავრა ჩინეთში. **ექსპედიციას** რამდენიმე წელი დასჭირდა. გზაზე მოინახულა საქართველო და ჩვენი მეზობელი ქვეყნები. 1295 წელს დაბრუნდა სამშობლოში, სადაც ტყვედ ჩავარდა. ტყვეობაში მარკო პოლოს თავგადასავალს იწერდნენ. იგი ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, რამაც უდიდესი ინტერესი გამოიწვია ევროპაში.

ლექსიკონი

ექსპედიცია – ადამიანთა გამგზავრება რაიმე მიზნით.

დავალება

7. შენი აზრით, უცხო ქვეყნებში, ქალაქებსა ან ნებისმიერ ადგილებში წარმატებული ექსპედიციის მოსაწყობად, რა უნდა ჰქონდეთ მოგზაურებს?
8. გაიხსენე, როდის შეიქმნა პირველი რუკები და ივარაუდე, შეიძლებოდა თუ არა მარკო პოლოს იმ დროს ჰქონოდა რუკა ან რაიმე ადგილის გეგმა. პასუხი დაასაბუთე.

5 მოვლენების დროში განსაზღვრა

რატომ უნდა ვიცოდეთ, თუ რა თანმიმდევრობით და როდის მოხდა რაიმე მოვლენა?



ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ

1. შეცვალე მოვლენების თანმიმდევრობა ისე, რომ ორი განსხვავებული ამბავი მიიღო.

წყარო 1. გატეხილი სკამი

დროის განსაზღვრის სისტემას, რომლითაც ვსარგებლობთ, **კალენდარს** ვუწოდებთ. კალენდარი, რომელსაც საქართველოში ვიყენებთ, დროს ყოფს დღეებად, კვირებად, თვეებად და წლებად. კალენდრით სარგებლობას აადვილებს ის, რომ დღეებს აქვს თავისი სახელი, თვეებს – სახელი და რიცხვი, წლებს კი – რიცხვი.

დროის და თარიღების შესწავლას **ქრონოლოგია** ეწოდება. ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ნიშნავს იმას, რომ პირველ ადგილზე ვაყენებთ ყველაზე ადრე მომხდარ ამბავს, მეორეზე – ცოტა მოგვიანებით, მესამეზე – კიდევ უფრო გვიან მომხდარ ამბავს და ა.შ.



წყარო 2. დროის ხაზი

მოვლენების თანმიმდევრობის დაცვა, განსაკუთრებით, ისტორიის შესწავლისას არის მნიშვნელოვანი. ამის გარეშე შეუძლებელია ამა თუ იმ მოვლენის მიზეზის გარკვევა.

ერთ-ერთი გზა იმის საჩვენებლად, თუ რა თანმიმდევრობით მოხდა მოვლენები, არის **დროის ხაზი**.

დროის ხაზი მოსახერხებელია ერთი დღის, თვის, მთელი წლის, საუკუნის და ა.შ. განმავლობაში მომხდარი ამბების დასაფიქსირებლად. დროის ხაზის თითოეული დანაყოფი შეიძლება აღნიშნავდეს ერთ დღეს ან სულაც საუკუნეს, ან ათასწლეულს. დროის ხაზი შეიძლება იყოს ვერტიკალური და ჰორიზონტალური.





წყარო 3. ჰორიზონტალური და ვერტიკალური დროის ხაზი

დავალება

2. აღნიშნე დროის ხაზზე შენი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენები.
3. დახაზე ვერტიკალური ან ჰორიზონტალური დროის ხაზი, რომელიც აჩვენებს:
   ა) ამბებს, რომელიც გადაგხდა მთელი დღის განმავლობაში: 8:00 საათზე, 12:00 საათზე, 13:00 საათზე. დროის ხაზის თითოეული დანაყოფი უნდა აღნიშნავდეს ერთ საათს.
   ბ) ამბებს, რომელიც მოხდა შენს ცხოვრებაში გასულ კვირას. დროის ხაზის თითოეული დანაყოფი უნდა აღნიშნავდეს ერთ დღეს.
   გ) შენს ცხოვრებაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს. დროის ხაზის თითოეული დანაყოფი უნდა აღნიშნავდეს ერთ წელს.
   დ) დააკარი დროის ხაზზე მონიშნულ მოვლენებს შესაბამისი ფოტოსურათი.

წყარო 4. დავით აღმაშენებლის გამზირი რესტავრაციამდე

წყარო 5. იგივე ქუჩა რესტავრაციის შემდეგ

დავალება

4. აღწერე, წყაროების 4 და 5 მიხედვით, თბილისში აღმაშენებლის გამზირზე მომხდარი ცვლილებები და იმსჯელე ამის შესახებ კლასში.
5. რა მნიშვნელოვანი ცვლილებები ან მოვლენები მოხდა შენს ქალაქში ან მხარეში წარსულში? ჩაატარე მოკვლევა და შეადგინე მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენებისა და ცვლილებების კალენდარი. დაიტანე ისინი დროის ხაზზე. წარუდგინე შედეგები შენს კლასს შემაჯამებელ გაკვეთილზე.

6 წელთაღრიცხვა

საიდან ვიწყებთ წლების ათვლას?

ისტორიკოსები რაიმე მოვლენაზე საუბრისას მეტი სიზუსტისათვის ასახელებენ არა პერიოდებს, არამედ უთითებენ წლებს. მაგალითად, საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა 1991 წელს. მაგრამ 1991 წელი როდიდან? საიდან ვიწყებთ წლების ათვლას ანუ **წელთაღრიცხვას**?

უძველესი ქვეყნების ხალხები წლების გადათვლას ანუ წელთაღრიცხვას მათთვის ღირსშესანიშნავი ამბიდან იწყებდნენ.

ქრისტიანული ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ წელთაღრიცხვის სათავე ყოფილიყო იესო ქრისტეს შობის პირობითად მიჩნეული წელი. ეს სისტემა შემოიღო იტალიელმა ბერმა დიონისე მცირემ დაახლოებით ათას ხუთასი წლის წინ. ასე რომ, „საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა ქრისტეს შობიდან 1991 წელს“.

ისტორია ქრისტეს შობით არ დაწყებულა. ბევრი ამბავი მოხდა ქრისტეს შობამდეც. ამიტომ ამ ამბების შესახებ ვამბობთ, რომ „ისინი მოხდა ქრისტეს შობამდე“. ასე გაიყო დროის ხაზი ორ ნაწილად: ქრისტეს შობამდე (შემოკლებით იწერება ქრ.შ-მდე) და ქრისტეს შობიდან (შემოკლებით იწერება ქრ.შ-დან). წელთაღრიცხვა ქრისტეს შობიდან მარტო თარიღითაც აღინიშნება. ამ ტერმინების მაგივრად ხშირად იყენებენ: **ძველი წელთაღრიცხვით** (**ძვ.წ.**) და **ახალი წელთაღრიცხვით** (**ახ.წ.**).

დროის ხაზზე ქრისტეს შობა ციფრი „1“-ით აღინიშნება.



წყარო 1. დროის ხაზი

მაგალითად, ამბის შესახებ, რომელიც მოხდა ქრისტეს დაბადებამდე ათი წლით ადრე, ვამბობთ, რომ „ეს იყო ქრისტეს შობამდე 10 წელს“. ქრისტეს შობამდე ოცი წელი უფრო დიდი ციფრია, მაგრამ ნიშნავს, რომ უფრო ადრე მოხდა და უფრო ძველი ამბავია. ქრისტეს შობის შემდეგ, რაც უფრო დიდია ციფრი, მით უფრო ახალია ამბავი. მაგალითად, ქრ. შ-მდე ანუ ძვ. წ. 400 წელი უფრო დიდი ხნით ადრე იყო, ვიდრე ძვ.წ. 100 წელი. მაგრამ ჩვენთან უფრო ახლოს არის ახ.წ. 2000 წელი, ვიდრე ახ.წ. 500 წელი.

არსებობს წლების აღრიცხვის სხვა სისტემაც. მაგალითად, მუსლიმურ ქვეყნებში წელთაღრიცხვას იწყებენ ისლამის შემქმნელის მუჰამედის მედინაში გადასვლით. ეს მოვლენა ქრ.შ-დან 622 წელს მოხდა.

წყარო 2. მუსლიმთა კალენდარი

წყარო 3. ებრაული კალენდარი

ებრაელები წელთაღრიცხვას უფრო ადრე იწყებენ, ვიდრე ქრისტიანები. წელი, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ 2000-ს, ებრაელთა კალენდრით არის 5760 წელი, ხოლო ისლამური კალენდრით – 1420 წელი.

მეცნიერებმა დროის ხაზი დაყვეს მონაკვეთებად: **საუკუნეებად** და **ათასწლეულებად**. საუკუნეში ასი წელია. ათი საუკუნე კი ათასწლეულს შეადგენს. როდესაც ვამბობთ, „ჩვენ ვცხოვრობთ XXI საუკუნეში“, ეს ნიშნავს, რომ ქრისტეს შობიდან 2-ჯერ დასრულდა ათასი წელი. მიაქციეთ ყურადღება, რომ წელი XXI საუკუნეში იწყება არა ციფრით 21, არამედ 20-ით. 1959 წელი არის არა მე-19, არამედ მე-20 საუკუნე.

მაგალითად, 150 წელი არის II საუკუნე იმიტომ, რომ ის არის ქრისტეს შობიდან მეორე ასწლეულში; ხოლო 250 წელი არის III საუკუნე იმიტომ, რომ ის არის ქრისტეს შობიდან მესამე ასწლეულში.

ახ. წ.	I საუკუნე		ახ. წ. II საუკუნე		ახ. წ. III საუკუნე	
1	50	100	150	200	250	300

წყარო 4. წლები და საუკუნეები

ზოგჯერ რაიმე მოვლენას, ფაქტს არასწორად მიაკუთვნებენ სხვა ეპოქას, სხვა ხანას, სხვა დროს. ამას **ანაქრონიზმი** ეწოდება.

✓ დავალება

1. მიუწერე საუკუნეებს მათი შესატყვისი ერთი რომელიმე წელი: XX საუკუნე, ახ. წ. III საუკუნე, ახ. წ. V საუკუნე.
2. მიუწერე წლებს მათი შესატყვისი საუკუნეები: ახ. წ. 1585 წელი, ახ. წ. 895 წელი, ახ. წ. 1415 წელი, 1832 წელი.

✓ დავალება

3. დავუშვათ, ვინმემ შემოგთავაზა მობილური ტელეფონის ყიდვა, რომელიც გამოშვებულია 1945 წელს. იყიდი? დაასაბუთე პასუხი.
4. დააკვირდი წყარო 5-ს. რას ხედავ დროსთან შეუსაბამოს?
5. ისტორიკოსებისთვის სიტყვა ანაქრონიზმი არის „მცდარის“ სინონიმი. გამოთქვი შენი აზრი აღნიშნულის შესახებ.
6. გამოკითხე ბებია და ბაბუა, ტექნიკის რომელი ნივთი არ არსებობდა, როდესაც თქვენი ასაკის იყვნენ, დღეს კი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია.

წყარო 5. რაინდი კომპიუტერთან

როგორ ვიკვლიოთ?

დროის მოწმეები ყვებიან

აღმაშენებლის გამზირის მცხოვრები მამაკაცი: წინა წლებში ეს ძველი შენობები ინგრეოდა, ვიწრო ქუჩაზე ავტომანქანები მოძრაობდა და ჰაერი ისეთი დაბინძურებული იყო, რომ გარეთ გასვლა არ გვინდოდა. ფანჯრები დაკეტილი გვქონდა, რომ გარდა გამონაბოლქვისა, მუდმივ ხმაურსაც ბინაში ნაკლებად შემოეღწია.

ქალი: როდესაც ქუჩის რესტავრაცია დაიწყო, ცოტა გავწვალდით. მთელი ქუჩა გადაითხარა, გადაიკეტა და სახლში მისვლაც კი პრობლემა იყო. სამაგიეროდ, ახლა ის ძალიან ლამაზი გახდა, შენობები გარემონტდა. ავტომობილების მოძრაობა აიკრძალა და გამონაბოლქვი აღარ გვაწუხებს. ჩვენი ქუჩა დღეს ტურისტებისა და თბილისელების საყვარელი დასასვენებელი, გასართობი ადგილია.

დავით აღმაშენებლის ძეგლი

დიდგორის მემორიალი

თელავის ჭადარი

ძეგლი როგორც წყარო

ძეგლიც ერთ-ერთი წყაროა. იგი დაკავშირებულია წარსულში მომხდარ რაიმე მოვლენასთან და ამ მოვლენის ხსოვნის სიმბოლოს წარმოადგენს. თავიანთი შინაარსის მიხედვით, ძეგლები ერთმანეთისგან განსხვავდება.

არსებობს ძეგლები, რომლებიც:

- რომელიმე პიროვნების ხსნოვნის აღსანიშნავად იგება. ასეთია, მაგალითად, დავით აღმაშენებლის ძეგლი თბილისში.
- წარსულში მომხდარი მოვლენების გასახსენებლად იქმნება. მაგალითად, დიდგორის ველზე ქართველთა გამარჯვების აღსანიშნავად აიგო მემორიალური კომპლექსი.
- ამა თუ იმ ეპოქაში გავრცელებულ სამშენებლო, ხუროთმოძღვრულ ხელოვნებას ასახავს. მაგალითად, კლდეში ნაკვეთი ქალაქი უფლისციხე, რომელიც **იუნესკომ** მსოფლიო კულტურული მემკიდრეობის ძეგლთა საცდელ სიაში ჩართო.
- არსებობს, ასევე, ბუნების ძეგლები, რომლებიც ბუნების დიდ შემოქმედებით მხარეს გამოხატავს. ასეთია, მაგალითად, თელავის ცენტრში არსებული ათასწლოვანი ჭადარი, რომელსაც თავისი ისტორია აქვს, დაკავშირებული ადამიანების, ქალაქის, მხარის ბედთან. მასზე თქმულებაც კი არსებობს.

- არსებობს შენობები, რომლებსაც ძეგლის სტატუსი აქვს. ხშირად გარკვეული შენობა განსაკუთრებით ასახავს ამა თუ იმ ეპოქას და მის სულს. ასეთ შენობებს ძეგლის სტატუსი აქვს და საგანგებოდ დაცულია. ისინი ამ სტატუსის აღმნიშვნელ ნიშანს ატარებენ.

ძეგლის სტატუსის
აღმნიშვნელი ნიშანი

ანჩისხატი

არმაზის ღვთისმშობლის ეკლესია

ატენის სიონი



ნეკრესის ეკლესია



სვანეთის კოშკები

ლექსიკონი

მემორიალი – რაიმეს ან ვინმეს უკვდავსაყოფად აგებული არქიტექტურული ნაგებობა.

იუნესკო – საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც კულტურის ობიექტებს იცავს.

კულტურული მემკვიდრეობა – თაობიდან თაობაზე გადაცემული მატერიალური და არამატერიალური კულტურის ძეგლები.

დავალება

1. დაასახელე, რა სახის ძეგლებია აღწერილი. რა ძეგლები არსებობს შენს მხარეში?
2. შემაჯამებელი გაკვეთილისთვის მოამზადე პროექტი „ჩემი მხარის ძეგლები“. **ამისთვის:**
   ა) შექმენით, მასწავლებლის დახმარებით, ჯგუფები (2-3 მოსწავლე).
   ბ) ჩამოწერეთ თქვენს რეგიონში არსებული ძეგლები და აირჩიეთ რომელიმე მათგანი.
   გ) მოიძიეთ თქმულებები თქვენი მხარის ძეგლებზე.
   დ) წარმოადგინეთ კლასის წინაშე პრეზენტაცია შესწავლილ ძეგლზე PPT-ში.

კარი 1.
ქართლი

ამ კარში ისწავლი აღმოსავლეთ საქართველოს ყველაზე დიდ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს – ქართლს. გაეცნობი ლეგენდას ქართლის სამეფოს დაარსებაზე; გაიგებ, თუ რატომ ითვლება ის საქართველოს პოლიტიკურ, კულტურულ და გეოგრაფიულ ცენტრად; რომელი მნიშვნელოვანი პიროვნებები და მოვლენები უკავშირდება ქართლს; რა გავლენა აქვს გეოგრაფიულ მდებარეობას მის ეკონომიკურ განვითარებაზე, დასახლების ტიპებზე; რა სტიქიური მოვლენებია მისთვის დამახასიათებელი და როგორ შეიძლება მათგან თავის დაცვა; რა მნიშვნელობა აქვს ისეთ ტრადიციებს, როგორიც არის ტოლერანტობა, ურთიერთდახმარება; როგორ გავრცელდა იქ ქრისტიანობა და რომელი ეთნიკური, კულტურული და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები ცხოვრობენ ქართლში; დაფიქრდები, რისი გაკეთება შეგიძლია შენი მხარისთვის.



ПИРОБИТНИ ИЗНИШВНЕБИ
დასახლებული პუნქტები
სახელმწიფოს დედაქალაქი
მხარის ცენტრი
მუნიციპალიტეტის ცენტრი
სხვა დასახლებული პუნქტი
კურორტი
საზღვრები
სახელმწიფოს
ისტორიულ-გეოგრაფიული
პროვინციის
დაცული ტერიტორიის
ჰიდროგრაფია
მდინარე
ტბა, წყალსაცავი
ჩანჩქერი
გზები
ავტომაგისტრალი
გზატკეცილი
რკინიგზა
სხვა აღნიშვნები
სიმაღლითი ნიშნული
უღელტეხილი
რუსეთის ფედერაცია
როკის უღტ.
2996
ჩხუმი
3184
ბეკარის უღ.
3877
მ. ზილგახოხი
3858
ლიახვის
აღკვეთილი
ამარაშენი
ცხინვალი
1952
ორბოძალი
2344
ბალაანი
ანანური
ახალგორი
ჟინვალი
ჟინვალის
წყალსც.
დუშეთი
ბაზალეთის
ტბა
ქართლის
ვაკე
ურბნისი
ქარელი
გორი
ატენი
ლამისყანა
ოძისი
ქსანი
ალგეთი
ჭოპორტი
მუხრანი
კასპი
მტკვარი
ხოვლე
ტანა
2148
ლევიტანა
მ. საბუღრო
კავთისხევი
მცხეთა
თბილისის
წყალსც.
თრიალეთის ქედი
2757
მ. არჯევანი
ალგეთის
ნაკრძალი
თბილისი
კურ. წყეთი
წალკის
წყალსც.
ალგეთის
წყალსც.
კუმისის
ტბა
ბაზევი
წალკა
თეთრი წყაროს
წინწყარო
რუსთავი
ხრამი
სარკინეთი
ბოლნისი
მარნეული
ალგეთი
ბარდაბანი
ტანძია
ალგეთი
ჯანდარის
ტბა
კაზრეთი
დმანისი
დარბაზი
სართიჭალა
სიონი
დებედა
აზერბაიჯანი
0
9კმ

1.1 ქართლი – საქართველოს გეოგრაფიული ცენტრი

რატომ არის ქართლი საქართველოს გეოგრაფიული ცენტრი?

ქართლი აღმოსავლეთ საქართველოში, მთათაშორის ბარის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. იგი საქართველოს ყველაზე დიდი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა. ქართლი ორ ნაწილად იყოფა – **შიდა ქართლი** და **ქვემო ქართლი**. საუკუნეების განმავლობაში ქართლი საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი იყო. ქართლში მდებარეობს საქართველოს დედაქალაქი **თბილისი**. იქვეა ძველი დედაქალაქი **მცხეთა**.

წყარო 1. მცხეთა და მისი შემოგარენი

✓ დავალება

1. რა ადგილი უკავია ქართლს საქართველოს რუკაზე (იხ. სქემატური რუკა, გვ. 27)?
2. ქართლის რუკის მიხედვით (გვ. 26-27)
   ა) საქართველოს რომელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები ესაზღვრება ქართლს?
   ბ) ქართლში მთები და გორაკ-ბორცვები უფრო მეტია თუ ვაკე-დაბლობები?
   გ) რომელი უღელტეხილის მეშვეობით უკავშირდება ქართლი იმერეთს?
   დ) რომელი მდინარეები უერთდება ერთმანეთს მცხეთასთან?

ქართლი საქართველოს სხვადასხვა მხარეს შორის არის მოქცეული. მასზე გადის აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის დამაკავშირებელი მთავარი ავტომაგისტრალი და სარკინიგზო ხაზი. აქ გაედინება აზიიდან ევროპაში გაყვანილი უმსხვილესი ნავთობსადენი და გაზსადენი, რომლებიც ევროპას ამ ბუნებრივი რესურსებით ამარაგებს. ქართლზე გადის ჩინეთიდან ევროპაში მიმავალი ყველაზე გრძელი სარკინიგზო ხაზი. ნავთობსადენებისა და გაზსადენის საქართველოს ტერიტორიაზე გავლას ჩვენი ქვეყნისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამისთვის სხვა სახელმწიფოები საქართველოს ფულს უხდიან.

„აბრეშუმის დიდი გზა“

ქართლზე და, ზოგადად, საქართველოზე ე.წ. „აბრეშუმის დიდი გზის“ ერთ-ერთი მონაკვეთი გადიოდა. ამ გზით ჩინეთიდან აბრეშუმი სხვა ქვეყნებში იყიდებოდა. გზაზე, სადაც სხვადასხვა საქონლით დატვირთული ქარავნები დადიოდა, არაერთი ქვეყანა მდებარეობდა. ვაჭრობამ ხელი შეუწყო სხვადასხვა ხალხის კულტურათა ურთიერთგავლენას, მათ გამდიდრებას. განსხვავებული გარეგნობის, კულტურისა და ენის გამო ზოგჯერ უცხოსა და გაუგებარს ქართველები „ჩინურს“ უწოდებდნენ. ჩინეთიდან საქართველოში გავრცელდა ჯონჯოლი, მანდარინი, გარგარი, იასამანი, ბრინჯი, ჩაი და რამდენიმე ჯიშის ყურძენი.

წყარო 2. აბრეშუმის დიდი გზა

წყარო 3. ჩინეთიდან პირველი მატარებლის შემოსვლა



წყარო 4. გაზსადენი და ნავთობსადენები

დავალება

3. მოიძიე ინტერნეტში ინფორმაცია თანამედროვე „აბრეშუმის გზაზე“. გააცანი მოძიებული მასალა კლასელებს. იმსჯელეთ ამ გზის მნიშვნელობაზე ძველად და ახლა.
4. რომელ ქვეყნებზე გადის ნავთობ და გაზსადენები (წყარო 4)?
5. როგორ ფიქრობ, რა გავლენა აქვს ქართლის გეოგრაფიულ მდებარეობას მის ეკონომიკურ განვითარებაზე?

1.2 ქართლი – საქართველოს პოლიტიკური ცენტრი

რატომ გახდა ქართლი საქართველოს პოლიტიკური ცენტრი?

საქართველოს სახელმწიფო მრავალი საუკუნეა არსებობს. პირველი ქართული სახელმწიფო დღევანდელი ქართლის გარშემო ქრისტეს შობამდე სამი საუკუნით ადრე ჩამოყალიბდა. ისტორიის სხვადასხვა პერიოდში ქართლს და საქართველოს სხვადასხვა სახელი ერქვა. X საუკუნიდან კი წარმოიქმნა სახელწოდება საქართველო, რაც ქართველთა ქვეყანას ნიშნავდა.

წყარო 1. თარგამოსი და მისი რვა შვილი

ლეგენდა ქართლის სამეფოს დაარსებაზე

ლეგენდის მიხედვით, ბიბლიური ნოეს ვაჟის იაფეტის შორეული შთამომავალი იყო თარგამოსი. თარგამოსს რვა ვაჟი ჰყავდა. მეორე ვაჟს ქართლოსი ერქვა. თარგამოსმა თავის შვილებს დედამიწის სხვადასხვა კუთხეში ტერიტორია გაუნაწილა. ქართლოსს საქართველოს დღევანდელი ტერიტორია ერგო. მან თავის წილ ქვეყანას ქართლი უწოდა. მისი შთამომავლები ქართლში გამრავლდნენ. ამ ქართლოსის შთამომავლებად ითვლებიან ქართველები. თავდაპირველად ქართლის ცენტრი მცხეთა იყო. მოგვიანებით მისი ტერიტორია ხან იზრდებოდა და ხან მცირდებოდა. საბოლოოდ კი დღევანდელ საზღვრებს მიაღწია.

დავალება

1. მონახე საქართველოს ფიზიკურ რუკაზე (6-7), რომელი მხარის მოსახლეობა შეიძლება ჩასულიყო ქართლში საცხოვრებლად სახნავი მიწის ნაკლებობის გამო?
2. მონიშნე დროის ხაზზე ქართლის სამეფოს დაარსების საუკუნე.

საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე განაპირა მხარეების წარმომადგენლები ქართლში გადმოსახლებას ცდილობდნენ. საქართველოს გაერთიანების იდეაც მათგან მოდიოდა. ქართლის მეზობელი მხარეების მოსახლეობას იქ გადასახლებისთვის სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა. მოსახერხებელი გეოგრაფიული მდებარეობის გარდა, ქართლში ძალიან ბევრი

იყო სახნავ-სათესი მიწა, თუმცა საძოვრები და სათიბები ჭარბობდა. სხვა მხარეებში, უმეტესად, კლდე-ღრეებისა და ტყიანი ადგილების გამო, სახნავად გამოსადეგი მიწა შედარებით ცოტა იყო, ამიტომ ნაკლები მოსავალი მოდიოდა.

დავალება

3. ჩამოთვალე მიზეზები, რატომ სახლდებოდნენ ქართლში საქართველოს სხვა კუთხეებიდან ჩასული ადამიანები.



ზედაზენი

არმაზი

ჯვრის მონასტერი

შიომღვიმე

სვეტიცხოველი

პომპეუსის ხიდი

წყარო 2. მცხეთის და მისი შემოგარენის ღირსშესანიშნაობები

დავალება

4. დაასახელე წყარო 2-ის მიხედვით და დამატებითი წყაროების დახმარებით, რა ისტორიული ძეგლები მდებარეობს მცხეთასა და მის შემოგარენში.
5. შეადგინე, წყარო 2-ის დახმარებით, ტურისტული მარშრუტი მცხეთასა და მის შემოგარენში.
6. მოიძიე ინფორმაცია მცხეთის რომელიმე ძეგლზე ინტერნეტში ან წიგნებში.
7. მისწერე წერილი შენს თანატოლს სხვა ქვეყნიდან, რომლითაც დააინტერესებ საქართველოში ჩამოსვლით და მცხეთის მონახულებით.
8. გამოაქვეყნე შენი წერილი (ილუსტრაციებით) კლასის კედლის გაზეთში.

1.3 ქართლი და მისი მეზობელი მხარეები

რა ურთიერთობა ჰქონდა ქართლს მეზობელ მხარეებთან?

ქართლი ძირითადად ვაკეებზე მდებარეობს, მაგრამ იქ მთიანი ხეობებიც არის. ქართლის მოსაზღვრე ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები კი მთიანია, ტყით დაფარული და დამრეცი ფერდობებით. მთიან მხარეებს, ძირითადად, ქართლის გარეშე არსებობა არ შეეძლოთ, მაგრამ ქართლსაც არანაკლებ სჭირდებოდა მთა და იქ დამზადებული ნივთები. წინათ ქართლში მიწას დიდი გუთნით ხნავდნენ. მასში რვა-ცხრა უღელ ხარ-კამეჩს აბამდნენ. ამისთვის დიდი რაოდენობით ღვედები იყო საჭირო. ღვედი ხარის ტყავისგან მზადდებოდა. ქართლში იმდენი რაოდენობით საქონელი არ ჰყავდათ, რომ სამყოფი ღვედები დაემზადებინათ. ამიტომ ქართლელებს ამ საქმეში ხევსურები ეხმარებოდნენ. გვიანი შემოდგომით ისინი ბარში ჩადიოდნენ და ღვედებს წნავდნენ. ასევე, მთიდანაც დიდი რაოდენობით დაწნული ღვედები ჩაჰქონდათ და სხვადასხვა პროდუქტზე ცვლიდნენ.

ლექსიკონი

დამრეცი – თანდათანობით დახრილი, დაქანებული ფერდობი.

რამდენიმე ათეული წელია ქართლში მიწას ხარების საშუალებით აღარ ხნავენ და აღარც დიდი რაოდენობით ღვედები სჭირდებათ. თუმცა ქართლსა და სხვა მხარეებს შორის კავშირი არ გამწყდარა. ამჯერად ისინი სხვა სფეროში ეხმარებიან ერთმანეთს.

წყარო 1. წარსულში ქართლში გავრცელებული დიდი ქართული გუთანი და ღვედი

წყარო 2. ტრაქტორი

დავალება

1. რაზე მეტყველებს ქართლში დიდი გუთნის გამოყენება?
2. შეადარე ერთმანეთს წყაროები 1 და 2. როგორ ფიქრობ, რა განსხვავება შეიძლება იყოს ძველი და ახალი საშუალებებით მიწის დამუშავებას შორის.
3. რა კავშირია ქართლის ბუნებრივ პირობებსა და სოფლის მეურნეობის იქ განვითარებულ დარგს შორის?
4. მოაწყეთ ექსკურსია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. დაათვალიერეთ იქ გამოფენილი სასოფლო-სამეურნეო იარაღი, მათ შორის, დიდი ქართული გუთანი. თვალი გაადევნეთ, როგორ ვითარდებოდა ეს სასოფლო-სამეურნეო იარაღი უძველესი დროიდან დღემდე.

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში მეცხვარეობა ყოველთვის მნიშვნელოვანი საქმიანობა იყო და დღესაც ასეა. მეცხვარეებისთვის აუცილებელია მინდვრები და საძოვრები, სადაც ზამთარშიც და ზაფხულშიც ცხვარს აძოვებენ. ქართლიდან საქართველოს ყველა მიმართულებით გზები გადის. მთიელს თუ მოუნდებოდა ჯავახეთში გადასვლა, აუცილებლად ქართლი უნდა გაევლო. დიდი ცხვრისა და ბევრი საქონლის პატრონისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო თრიალეთსა და ჯავახეთში არსებული საზაფხულო საძოვრები. ქართლელებსაც სამხრეთ საქართველოში მიჰყავდათ ცხვარი საბალახოდ, თავიანთ საძოვრებს კი ზამთრისთვის ინახავდნენ.

წყარო 3. ცხვრის ფარის გადარეკვა

საქართველოში ცხვრის მთის საძოვრებზე გადარეკვა ძალიან ძველი ტრადიციაა და დღემდე გრძელდება. ამას ადასტურებს საქართველოში ქრისტიანობის გამავრცელებლის წმინდა ნინოს ისტორია. IV საუკუნის დასაწყისში საქართველოს საზღვრებში – ჯავახეთში შემოსულ ნინოს მცხეთიდან მოსული მწყემსები შეხვდნენ.

დავალება

8. დაიტანე დროის ხაზზე წმინდა ნინოს მცხეთელ მწყემსებთან შეხვედრის საუკუნე.
9. როგორ ფიქრობ, რისთვის იყენებენ ცხვრის მატყლს, ტყავს, რძესა და ხორცს. დახაზე რვეულში ცხრილი და შეავსე.

დავალება

5. დაადგინე, რუკის დახმარებით (გვ. 27), რა მარშრუტის გავლა უწევდათ წარსულში მეცხვარეებს მცხეთიდან ჯავახეთამდე?
6. წარმოიდგინე, როგორი შეიძლება იყოს მეცხვარის ერთი ჩვეულებრივი დღე და შეეცადე დახატო: რისი გაკეთებება უწევს მას ყოველდღიურად, ვინ არის მისი დამხმარე?
7. რატომ იყო საჭირო ზაფხულობით ცხვრის არეკვა მთის საძოვრებზე?



წყარო 4. რა სარგებლობა მოაქვს ცხვარს

1.4 ქართლის ციხესიმაგრეები

როგორ იცავდა ქართლი თავს მტრის შემოსევისგან?

წყარო 1. ძველი ქართველი მეომრის აღჭურვილობა

უძველესი დროიდან სახელმწიფოები ერთმანეთს ებრძოდნენ და თავიანთ ტერიტორიას აფართოებდნენ. ქართველებს, უმეტესად, თავის დაცვა უწევდათ. ქართლელები ისევე, როგორც ყველა ქართველი, ძლიერი მებრძოლები იყვნენ. მეომრებს მტრის მიერ მოქნეული ხმლისგან ჯაჭვის პერანგი იცავდა. ხმალს და ფარს თავად აკეთებდნენ. თუმცა მათი თავდაცვის ძირითადი საშუალება ციხესიმაგრეები და სათვალთვალო კოშკები იყო. ისინი ისე იყო აშენებული, რომ ერთმანეთს უყურებდა. სათვალთვალო კოშკში ყოველთვის ვიღაც მორიგეობდა. მტრის გამოჩენის შემთხვევაში მასზე ცეცხლს ანთებდნენ და რამდენიმე წუთში შემოსევის შესახებ მთელმა ქვეყანამ იცოდა. სათვალთვალო კოშკებიდან მიღებული ცნობიდან მალევე ქართლელები თავიანთი ოჯახის წევრებს მახლობელ ტყიან ხეობებში მალავდნენ, თვითონ ციხესიმაგრეში გამაგრდებოდნენ და მტერს იქიდან ებრძოდნენ. მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ მთიანი და ტყიანი ხეობებიდან ოჯახის წევრები გამოჰყავდათ და ცხოვრებას ჩვეულებრივ აგრძელებდნენ.

შემოსული მტერი, სოფლებთან ერთად, ეკლესია-მონასტრებს და ტაძრებსაც ანადგურებდა. მოსახლეობა დანგრეულ ქრისტიანულ სალოცავებს ერთობლივად მალე აღადგენდა, ხოლო გადამალულ სიწმიდეებს – ხატებს, ჯვრებს აბრუნებდა.

დღემდე ქართლის ტერიტორიაზე ასობით ციხისა და კოშკის ნანგრევია დარჩენილი. მათი ნაწილი აღდგენილია. ახლა ისინი მხოლოდ ტურისტების სანახაობას წარმოადგენს.

ამჟამად ქართლსაც და მთელ საქართველოსაც **ქართული ჯარი** იცავს.



წყარო 2. ჭიდაობა

ჭიდაობა ქართლში

ქართლის თითქმის ყველა სოფელში სადღესასწაულო დღეებში წრეში დაყრილ ნახერხზე ფეხშიშველები, საჭიდაო ჩოხით, წელგამართულები ჭიდაობენ. წაქცეულ ან დაჩოქილ მეტოქეზე მისვლა და ზურგიდან შეტევა დაუშვებელია. ჭიდაობის ამ რაინდულმა წესმა ჩვენამდე პირვანდელი სახით მოაღწია. ხშირად, მტერთან პირისპირ შეტაკებისას, მეომრები ქართული ჭიდაობის ილეთებს იყენებდნენ. ბევრი ქართველი ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი ქართული ჭიდაობიდან მოდის. მათ შორის არის შოთა ჩოჩიშვილი, რომელმაც ქართული ჭიდაობის ილეთებით ბევრი ბრძოლა მოიგო.

შინდისის გმირები

2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ე.წ. ხუთდღიანი ომი მოხდა. რუსეთის ჯარმა ქართლის ტერიტორიის ნაწილი დაიკავა. 11 აგვისტოს რუს ჯარისკაცებს სოფელ შინდისთან ქართველებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპნენ. ადგილზე მისული რუსები გაოცდნენ. მათ ვერ დაიჯერეს, რომ რუსეთის ჯარის ასეულს მხოლოდ რამდენიმე ქართველი ებრძოდა.

შინდისის ბრძოლას 17 ქართველი მეომარი შეეწირა. ეს გმირებია: მიხეილ დვალიშვილი, ლევან მელქაძე, თეიმურაზ ბერიძე, ალექსანდრე ონიანი, რუსლან წულაძე, ზვიად კაცაძე, ილია გაბუნია, რომან ზოიძე, კახა კოშაძე, ემზარ წილოსანი, ფელიქს კაკაურიძე, ვეფხია ჯიშკარიანი, მარლენ ბარამია, ილია შეყლაშვილი, ირაკლი ჯანელიძე, შმაგი კუპატაძე, ნიკოლოზ ფორჩხიძე.

დავალება

1. დღეს საქართველოში ჯარისკაცობა ისეთივე პროფესიად ჩამოყალიბდა, როგორც მასწავლებლობა ან ჟურნალისტობა. წარსულში კი ქვეყანას მტერი რომ შემოესეოდა, მამაკაცები თავიანთ საქმეს თავს ანებებდნენ და ოჯახებსა და სამშობლოს იცავდნენ. როგორ ფიქრობ, რომელი ჯობს და რატომ?
2. მოიძიე ინფორმაცია ცნობილ ქართველ მოჭიდავეებზე.
3. შენი აზრით, რატომ ეწოდა ბირთვისის ციხის ერთ-ერთ კოშკს შეუპოვარი?
4. მოიძიე, დამხმარე რესურსების მეშვეობით, ლეგენდა ბირთვისის ციხეზე და დაწერე მოკლე ჩანახატი მასზე.
5. მოიძიე ინტერნეტში ინფორმაცია შინდისის გმირებზე. ნახეთ მათზე ფილმი და განიხილეთ კლასში.

ბირთვისის ციხე

ქართლში ერთ-ერთ ყველაზე ძნელად დასაპყრობ ციხედ ყოველთვის ბირთვისის ციხე ითვლებოდა. იგი კლდოვან წვეტიან მთებშია. ჩვენმა წინაპრებმა ყველა შესასვლელი და საეჭვო ადგილი ისე გაამაგრეს, რომ თითქმის შეუძლებელი იყო ციხის აღება. ბირთვისის ციხის სიამაყეა ყველაზე მაღალ ბორცვზე აშენებული კოშკი „შეუპოვარი“.



კოშკი „შეუპოვარი“

ციხის წყალსაცავი

ციხის ერთ-ერთი შესასვლელი

წყარო 3. ბირთვისის ციხე

1.5 მრავალეროვანი ქართლი

რა მეტყველებს ქართლის მოსახლეობის ტოლერანტობაზე?

ლექსიკონი

ტოლერანტობა – შემწყნარებლობა, სხვისი ქცევისა და შეხედულებების შეწყნარება და პატივისცემა.

ქართლი გეოგრაფიულად არა მხოლოდ საქართველოს, არამედ კავკასიის ცენტრალური ნაწილია. საქართველოს გარშემო მცხოვრები ხალხები ყოველთვის ცდილობდნენ თავი მოეყარათ ქართლში, სადაც ჯერ მცხეთა იყო საქართველოს დედაქალაქი, მოგვიანებით კი – თბილისი. საუკუნეების განმავლობაში ქართლში ცხოვრობდა და დღემდე ცხოვრობს სხვადასხვა წარმოშობის მოსახლეობა: სომხები, აზერბაიჯანელები, ებრაელები, ოსები, ასირიელები, ქურთები, იეზიდები, ბერძნები, გერმანელები, ბოშები, რუსები და სხვები.

ებრაელები ქართლში

ქართლში არაქართული მოსახლეობიდან ყველაზე ადრე ებრაელები დასახლდნენ. 26 საუკუნის წინ მათ სამშობლოს თავს დაესხა მტერი. მტრისგან თავის დახსნის შემდეგ ებრაელების ერთი ჯგუფი ქართლში მოვიდა. მცხეთის მმართველმა მათ დარჩენის ნება მისცა და იქვე ახლოს დაასახლა. ებრაელებს ქართველებისგან განსხვავებული რელიგია და ტრადიციები ჰქონდათ, მაგრამ ამის გამო ისინი საქართველოში არასდროს იჩაგრებოდნენ და საკუთარ რელიგიასა და ტრადიციებს ინარჩუნებდნენ. მოგვიანებით ებრაელები მთელ საქართველოში დამკვიდრდნენ. ქართლში ისინი, ძირითადად, მცხეთასა და ცხინვალში ცხოვრობდნენ. ასე გახდა ებრაელებისთვის საქართველო მეორე სამშობლო. ხშირად მათ „ქართველი ებრაელების“ სახელითაც მოიხსენიებენ.

5 წმინდა სიდონიას ამბავი

ებრაელმა ელიოზმა მცხეთაში ქრისტეს კვართი ჩაიტანა. მისმა დამ სიდონიამ ის გულში ჩაიკრა და ადგილზევე გარდაიცვალა. ელიოზმა მას კვართი ვერაფრით გამოაცალა, ამიტომ კვართთან ერთად დაკრძალა. მცხეთაში, იმ ადგილზე დღეს სვეტიცხოვლის ტაძარია აგებული. წმინდა სიდონიას ხსენების დღე მცხეთობის ანუ სვეტიცხოვლობის საეკლესიო დღესასწაულს ემთხვევა.

წყარო 1. თბილისის სინაგოგა

წყარო 2. ებრაელი ვაჭრები ქართლის სოფელში

დავალება

1. დაიტანე დროის ხაზზე ებრაელების ქართლში დასახლების საუკუნე.
2. როგორ ფიქრობ, რაზე მეტყველებს ის, რომ საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს „ქართველ ებრაელებს“ უწოდებენ?
3. აღწერე წყარო 2-ზე, რა საქმით არიან დაკავებული ებრაელები ქართულ სოფელში.

ასირიელები ქართლში

ებრაელების შემდეგ ქართლში საცხოვრებლად ასირიელები ჩავიდნენ. ისინი, ქართველების მსგავსად, მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ. თავდაპირველად, V-VI საუკუნეებში, საქართველოში ასურელი ბერები ჩადიოდნენ და ქრისტიანობას ავრცელებდნენ. მათ შორის იყვნენ ისეთი ცნობილი მოღვაწეები, როგორებიც **ცამეტი ასურელი მამაა**. მოგვიანებით კი, როდესაც საკუთარ სამშობლოში ასირიელების დევნა დაიწყო, მათი ერთი ნაწილი ბერებს საქართველოში წამოჰყვა და ქართლში დასახლდა. სოფელ ქანდაში დღემდე ცხოვრობენ მათი შთამომავლები. ქანდელმა ასირიელებმა კარგად იციან ქართული ენა და ტრადიციები, თუმცა შენარჩუნებული აქვთ საკუთარი მეტყველება და კულტურაც. ცამეტ ასურელ მამას **იოანე ზედაზნელი** ხელმძღვანელობდა. მცხეთასთან ახლოს, ზედაზნის მთაზე, მან მონასტერი დააარსა და მთელი ცხოვრება იქ გაატარა. დანარჩენი ბერები აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წავიდნენ და ქრისტიანული მოღვაწეობა დაიწყეს.

წყარო 3. იოანე ზედაზნელის საფლავი ზედაზნის მონასტერში

დავალება

4. დაიტანე დროის ხაზზე ასურელების ქართლში ჩამოსვლის დრო.
5. ცამეტი ასურელი მამიდან რვა – იოანე ზედაზნელი, ანტონ მარტყოფელი, შიო მღვიმელი, ისე წილკნელი, მიქაელ ულუმბოელი, თადეოზ სტეფანწმინდელი, პიროს ბრეთელი და ისიდორე სამთავნელი – ქართლის ტერიტორიაზე მოღვაწეობდა. გამოთვალე, ასურელი მამების სახელიდან გამომდინარე, ის ადგილები, სადაც ისინი მოღვაწეობდნენ.
6. შეადგინე რვეულში ორსვეტიანი ცხრილი: „რომელ ადგილებში მოღვაწეობდნენ ასურელი მამები?“.
7. მოიძიე ინტერნეტში ინფორმაცია სოფელ ქანდაში დღეს მცხოვრებ ასურელებზე.

ოსები ქართლში

ქართლში ბევრი ოსი ცხოვრობს. მთაში მიწის სიმცირის გამო მათი გადმოსახლება ჩრდილოეთ კავკასიიდან XVII საუკუნის შუახანებიდან დაიწყო. შიდა ქართლის მთიანეთში ოსთა დასახლებას კი ხელი შეუწყო იქ ბევრი ნასოფლარის არსებობამ, რაც მტრის ხშირი შემოსევების შედეგი იყო.

ისტორიულად, ქართველებსა და ოსებს შორის კეთილი ურთიერთობა არსებობდა. ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ოსები ხშირად მონაწილეობდნენ საქართველოში შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართველოსა და ოსეთის სამეფო ოჯახებს შორის **დინასტიური ქორწინებები** ხდებოდა. მაგალითად, თამარ მეფის დედა ოსი იყო. ქართველი მეფეები და თავადები ოსების საქართველოში ჩასახლებას ხელს უწყობდნენ და მათ სამი წლის განმავლობაში ხორბლით ამარაგებდნენ.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, შიდა ქართლის მოსახლეობის დიდი ნაწილი საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა.

წყარო 4. დევნილთა დასახლება წეროვანში

სომხები და აზერბაიჯანელები ქართლში

ქართლში ისევე, როგორც დანარჩენ საქართველოში, ქართველების შემდეგ ყველაზე დიდი რაოდენობით ცხოვრობენ სომხები და აზერბაიჯანელები. სომხები, ძირითადად, თბილისში და ქვემო ქართლის ტერიტორიაზე არიან დასახლებული. მათი უმთავრესი საქმიანობაა ვაჭრობა და ხელოსნობა. აზერბაიჯანელები ქვემო ქართლის ნაყოფიერ სოფლებში ცხოვრობენ და სოფლის მეურნეობას მისდევენ. საქართველოს ბოსტნეულით, უმეტესად, ბოლნისში და მარნეულის რაიონში მცხოვრები აზერბაიჯანელები ამარაგებენ.

ლექსიკონი

დინასტიური ქორწინება – ქორწინება სხვადასხვა ქვეყნის მმართველი სამეფო გვარის (დინასტიის) წევრებს შორის.

დავალება

8. მოიძიე ინფორმაცია ქართლში წეროვანში არსებულ დევნილთა დასახლებაზე და იმსჯელე იმ მიზეზებზე, რომლის გამოც ეს დასახლება არსებობს.
9. დაწერე წერილი ოს თანატოლთან ისტორიული მეგობრობაზე და მოიფიქრე, როგორ შეიძლება ძველი ურთიერთობის აღდგენა.

წყარო 5. ბოსტნეულის ნარგავები მარნეულში

სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდები ქართულ ენას სწავლობენ და ქართველ თანატოლებთან ერთად საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სხვადასხვა პროფესიას ეუფლებიან.

წყარო 6. XVII საუკუნის სასულიერო პირისა და პოეტის იოსებ სააკაძის ცნობა სომეხი მღვდლის გმირობის შესახებ

1609 წელს მტერი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მოდიოდა, როდესაც მათ წინ გორელი სომეხი სასულიერო პირი („ტერტერა“) შეეჩეხა. ის მაშინვე უკან გაიქცა, გორთან მტკვარზე გადებული ხიდის ფიცრები აყარა და თავისი ქალაქი დარბევას გადაარჩინა. გორელი ტერტერას მოხერხებულობა რომ არა, მტერი ქალაქს ადვილად დაეუფლებოდა, რადგან მისი ციხე იმ დროს ისევ დანგრეული იყო და მოქალაქეებს თავდაცვა გაუძნელდებოდათ.

5

ხუდია ბორჩალოელი

ხუდია ბორჩალოელი საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული გმირია. იგი აზერბაიჯანელი იყო და სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურებოდა ქართლ-კახეთის მეფეს, ერეკლე მეორეს. იგი ყოველთვის მეფე ერეკლეს უახლოეს გარემოცვაში იბრძოდა. მეფემ სწორად შეაფასა ხუდიას ერთგულება და მას საკუთარი სიცოცხლის დაცვა ანდო. ხუდია ბორჩალოელი ყველაზე მძიმე ბრძოლების დროსაც მეფეს მარტოს არ ტოვებდა.

დავალება

10. როგორ ფიქრობ, რატომ მოიქცა ასე გორელი სომეხი? შენი აზრით, რამ უბიძგა მას ასეთი საქციელისკენ.
11. როგორ ფიქრობ, რაზე მეტყველებს ერეკლე მეფის ასეთი უპირობო ნდობა ხუდია ბორჩალოელის მიმართ?

დავალება

12. შენი აზრით, რა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ენის – ქართულის ცოდნას საქართველოს მოქალაქეებისთვის?
13. როგორ გესმის სიტყვა ტოლერანტობა?
14. რატომ შეიძლება ჩათვალო, რომ ქართლი ტოლერანტული იყო განსხვავებული ეროვნებისა და რელიგიის წარმომადგენლების მიმართ?

1.6 დასახლების ტიპები ქართლში

როგორი დასახლებები იყო წარსულში ქართლში და როგორია დღეს?

ქართლში დღეს ახალი სოფლების უმეტესობა ძველი სოფლების ადგილზეა გაშენებული, თუმცა ახალ ადგილას, ვრცელ ვაკეებზეც გვხვდება. წარსულში დაბლობში სოფლებს არ აშენებდნენ, ვინაიდან მტრის შემოსევის საფრთხე არსებობდა. ქართლელები უფრო მთების, ქედების, გორების ძირში სახლდებოდნენ. ასეთ ადგილებში სასმელი და სარწყავი წყალი მეტი იყო, თანაც, მტრის შემოსვლის შემთხვევაში მთისძირა ხეობებიდან ტყისთვის თავის შეფარება უფრო ადვილად შეიძლებოდა.

წყარო 1. სოფელი წინწყარო

დავალება

1. აღწერე წყარო 1. როგორ ფიქრობ, რამდენად მოსახერხებელი და უსაფრთხო იყო ასეთ სოფელში ცხოვრება წარსულში და როგორია დღეს. პასუხი დაასაბუთე.

წყარო 2. სოფლის ორღობე

ქართლში დასახლება შეჯგუფული იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ სახლები ერთმანეთთან ახლოს იდგა და ეზოკარმიდამოც ძალიან პატარა ჰქონდა. დიდი სოფელი სხვადასხვა უბნისგან შედგებოდა. უბნებს შორის ვიწრო გზები გადიოდა, რასაც **ორღობეს** უწოდებდნენ. ღობეები ორგვარი ჰქონდათ – ქვით ნაშენი და „ცოცხალი ღობე“. ძალიან ხშირად გლეხებს თავიანთი ნაკვეთის საზღვარზე მცენარეები ჰქონდათ დარგული. ერთ სიგრძეზე ჩამწკრივებულ მცენარეებს **„ცოცხალ ღობეს“** უწოდებდნენ.

დღეს ქალაქსა თუ სოფელში, ძირითადად, ბევრი კეთილმოწყობილი სახლია. ძველად ქართლელები **ბანიან** და **დარბაზული ტიპის სახლებში** ცხოვრობდნენ. ბანიან სახლს, ჩვეულებრივ, ზემოდან სახურავად მიწა ჰქონდა დაყრილი, რომლის დატკეპნა ძალიან შრომატევადი საქმე იყო. დარბა-

ზული საცხოვრებლების გადახურვა განსხვავებულია. სახურავი დიდი მორებით იყო აშენებული, ზევით ვიწროვდებოდა, საიდანაც სინათლე შედიოდა და კერიდან ბოლი გადიოდა. მაშინდელ სახლებს ფანჯრები არ ჰქონდა და სინათლე მხოლოდ ზემოდან ჩადიოდა. ძველად სახლის შუაგულში ცეცხლი ენთო და ამ ცეცხლის თავზე ჩამოკიდებულ ქვაბში საჭმელს ამზადებდნენ. კერაზე ცეცხლი მუდმივად ენთო. მისი ჩაქრობა არ შეიძლებოდა. მაშინდელი ადამიანის რწმენით, კერის ჩაქრობა ცუდის მომასწავებელი იყო.

წყარო 3. დარბაზული ტიპის სახლი ქართლში

წყარო 4. ბანიანი სახლი

წყარო 5. თანამედროვე სახლი

დავალება

2. შენი აზრით, რატომ იყო ქართლში შეჯგუფული დასახლება?
3. რატომ არის დღეს დასახლება გაშლილი (წყარო 1)?
4. აღწერე დარბაზის ტიპის სახლი (წყარო 3). რით შეგიძლია იმის ახსნა, რომ მას ფანჯრები არ ჰქონდა?
5. რა განსხვავებას ხედავ, წყაროების 3-5 მიხედვით, ძველ და ახალ საცხოვრებელ სახლებს შორის?
6. შეავსე რვეულში ცხრილი: „ძველი და ახალი საცხოვრებელი სახლები ქართლში“.

1.7 მეურნეობის დარგები ქართლში

რა სამეურნეო საქმიანობას მისდევენ ქართლში?

მემინდვრეობა

ქართლელთა ძირითადი საქმიანობა მემინდვრეობა იყო. მინდვრებში მათ მარცვლეული, ძირითადად, ხორბალი მოჰყავდათ. ძველ ქართლელებს ხორბლეულის სხვადასხვა ჯიში ჰქონდათ გამოყვანილი (**დიკა**, **დოლის პური**, **თავთუხი**). მათ შორის ერთი ძირითადი განსხვავებაა: არსებობს ისეთი ჯიშები, რომლებიც შემოდგომით ითესება, თესლი მთელი ზამთარი მიწაში რჩება და გაზაფხულზე ამოდის. ასევე, არსებობს ისეთი ჯიში, რომელიც პირდაპირ გაზაფხულზე ითესება და მალევე აღმოცენდება. საქართველო ხორბლის ერთ-ერთ უძველეს მწარმოებელ ქვეყნად არის აღიარებული.

მოსავალი რომ მოეყვანათ, მიწის მოხვნა იყო საჭირო, შემდეგ დათესვა, დაფარცხვა, შემოსული თავთავის მომკა, გალეწვა, დაფქვა, ბოლოს გამოცხობა. ქართლელთა მთავარი საკვები პური და სხვა მცენარეული კერძები იყო. პურს თორნეში აცხობდნენ.

ქართლის კერძები

ქართლის სამზარეულო განთქმულია წვნიანებით. მათ მიეკუთვნება შინდის, დოსა და ღოლოს შეჭამანდები, პურის ხარჩო. ქართლი განთქმულია აგრეთვე მწნილეულობით, მაგალითად, ჯონჯოლის მწნილით.

წყარო 1. შინდის შეჭამანდი



წყარო 2. ხორბლიდან პურამდე

დავალება

1. დაასახელე, წყარო 1-ის მიხედვით, რა გზა უნდა გაიაროს ხორბალმა, რომ ბოლოს პური, ფუნთუშა ან სხვა ნამცხვარი მიირთვა.

მესაქონლეობა

ქართლში მესაქონლეობაც იყო განვითარებული. მეურნეობის ეს დარგი მიწათმოქმედებას დიდ სამსახურს უწევდა. ხარების დახმარებით ხნავდნენ. ამავე დროს, მესაქონლეობის პროდუქტებით იკვებებოდნენ. ცხვარი კი, დამატებით, მატყლს იძლეოდა. ამის გამო ჩვენი წინაპრები მეცხვარეობასაც მისდევდნენ. მატყლისგან ძაფს ართავდნენ და ძაფისგან ტანსაცმელს ქსოვდნენ. მამაკაცები ცხვარს რომ გაპარსავდნენ, შემდეგ დანარჩენ საქმეს უკვე ქალები ასრულებდნენ. მათი მოვალეობა ქსოვა და კერვაც იყო. წინათ ფეხსაცმელსაც ძროხისა და კამეჩის ტყავისგან თავად იმზადებდნენ. დღეს ფაბრიკებში მზადდება ქსოვილიც, ტანსაცმელიც და ფეხსაცმელიც.

წყარო 3. ხელით ქსოვა

წყარო 4. დღესასწაული ქვათახევში

დავალება

2. აღწერე წყარო 4.
ა) როგორ აცვიათ ქართლელ ქალებსა და კაცებს?
ბ) სუფრის როგორ ტრადიციას ხედავ და რით განსხვავდება იგი დღევანდელობისაგან?
გ) ტრანსპორტის რომელ საშუალებებს ხედავ? რით განსხვავდება თანამედროვე ტრანსპორტისაგან?

წყარო 5. ჩირი

მეხილეობა

მთელ საქართველოში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი მეხილეობა იყო. ამ მხრივ დღეს განსაკუთრებით ცნობილია ქართლი. ხილი ვიტამინებით მდიდარია, თუმცა უფრო მეტ ვიტამინს შეიცავს **ჩირი**, რომელსაც თითქმის ყველანაირი ხილისგან ამზადებენ. თუ გაზაფხულზე ჩირი ძალიან გახმება, მას ხარშავენ და ისე მიირთმევენ. ტყემლისა და ქლიავისგან ტყლაპი მზადდება, რომელიც ასევე ყელის ტკივილის წამალია. დღეს ხილს სპეციალურ მაცივრებში ინახავენ, ამიტომ ზამთრამდე ძლებს. წარსულშიც ხილის ზამთრისთვის ცოცხლად შენახვის სხვადასხვა გზა იცოდნენ. მაგალითად, ვაშლსა და მსხალს მიწასა და ქვაბებში ინახავდნენ.

ძველად ქართლში ისევე, როგორც ყველგან საქართველოში, ხორცეულ საკვებს იშვიათად ეტანებოდნენ. დღემდე მოღწეულია სხვადასხვა უცხოელი მოგზაურის წერილობითი წყაროები, სადაც ისინი საქართველოს მოსახლეობას, მათ აღნაგობასა და კვების რაციონს აღწერენ. უცხოელი მოგზაურები ყოველთვის აღნიშნავდნენ, რომ ქართველები გამხდარნი, წელწვრილნი და კოხტები იყვნენ. ამას კი, საკვებთან ერთად, ყოველდღიური შრომაც განაპირობებდა. ძველ დროს ქართლში ზარმაცი კაცის ნახვა იშვიათობა იყო.

დავალება

3. რა საშუალებებით ინახავენ დღეს ხილს დიდი ხნის განმავლობაში?
4. შენი დაკვირვებით, რატომ გაჩნდა ქართველებში და, ზოგადად, ადამიანებში ზედმეტი წონის პრობლემა? შენ როგორ ზრუნავ იმაზე, რომ ზედმეტი წონის პრობლემამ არ შეგაწუხოს?
5. რატომ არის მნიშვნელოვანი ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის ჯანსაღი კვება? რა როლს ასრულებს შენს რაციონში ხილი?

ყურძნის შენახვის ხერხები

ყურძნის შენახვას წარსულში სარიტუალო დანიშნულებაც ჰქონდა. ვენახში, ყველაზე მსხმოიარე ვაზის ძირში, მიწას გათხრიდნენ, შიგ ჩააფენდნენ თივას და ჩააწვენდნენ ვაზს, ორმოში ჩაწვენილ მსხმოიარე ვაზს ზემოდან მსხვილ ჯოხებს ან ფიცრებს გადააფარებდნენ და ზემოდან მიწას დააყრიდნენ. ახალი წლის წინა დღეს მიწაში დამარხულ ერთ-ერთ ვაზს ამოიღებდნენ, ვაზს ღვინოს დაუსხამდნენ, ახალ წელს მიულოცავდნენ და ეტყოდნენ: „აი, შენი მოცემული ღვინო, შენვე მოგვილოცე და შენვე მოგვეცი მრავალი ღვინოო“. დანარჩენ დამარხულ ვაზს, როდესაც უნდოდათ, მაშინ ამოიღებდნენ. ასე, გვიან გაზაფხულამდე, შეეძლოთ ყურძნის ჭამა. ყურძნის შენახვის კიდევ ერთი საშუალება იყო აკიდოს გაკეთება. ასეთ დროს ვაზს მტევნებიანად მოაჭრიდნენ ტოტს და ზამთრისთვის ინახავდნენ.

წყარო 6. ყურძნის აკიდო

1.8 ურთიერთდახმარების ტრადიცია

ურთიერთდახმარების რა ტრადიცია არსებობდა ქართლში და როგორ ვლინდება ის დღეს?

სტიქიური მოვლენები და მათგან თავდაცვა

ადამიანი ბუნებიდან ძალიან ბევრ საარსებო საშუალებას, საკვებ პროდუქტს, სამშენებლო მასალას იღებს. მიწის დამუშავება და მეცხოველეობაც ბუნებასთან ურთიერთობას გულისხმობს. მაგრამ ბევრი სიკეთის გარდა, ბუნებას ადამიანისთვის ზიანის მოტანაც შეუძლია. ხშირად ამაში დამნაშავე თავად ადამიანია.

თბილისში, ვერეს ხეობაში, გმირთა მოედნისა და ზოოპარკის ტერიტორიაზე, სულ რაღაც 50 წლის განმავლობაში, ორჯერ მოხდა სტიქიური მოვლენა – ადიდებულმა ვერემ ადამიანები და ცხოველები იმსხვერპლა და ქალაქს დიდი ზიანი მიაყენა.

წყარო 1. თბილისის ზოოპარკის მიმდებარე ტერიტორია 2015 წლის 13 ივნისს მომხდარი წყალმოვარდნის შემდეგ

წყარო 2. იგივე ტერიტორია 2017 წელს

წყარო 3. „ძალა ერთობაშია“ – თბილისელები სტიქიის შედეგებს ებრძვიან

დავალება

1. იმსჯელეთ, რა მნიშვნელობა აქვს ერთობლივად პრობლემის გადაჭრას (წყაროები 1-3).
2. გაიხსენე, რა შემთხვევაში დაეხმარე მეგობარს, ხანშიშესულს ან გაჭირვებულს. მოუყევი ეს ისტორია თანაკლასელებს.
3. ჩამოწერე მიზეზები, რომელმაც მეწყერი გამოიწვია და მდინარე ვერეს ხეობაში ტრაგედია დაატრიალდა.
4. როგორ შეებრძოლნენ თბილისელები სტიქიის შედეგებს (წყარო 3)?
5. როგორ უნდა მოიქცნენ ადამიანები მდინარე ვერეს მსგავსი ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად?

უბედურების თავიდან ასაცილებლად მისი გამომწვევი მიზეზების დადგენა არის საჭირო. ვერეს ხეობაში მოსახლეობა ხელახლა XIX საუკუნეში დასახლდა. თბილისელების რაოდენობაც სწრაფად იზრდებოდა. იმ დროს ენერგიის მთავარი წყარო ნახშირი იყო. ადგილობრივი მოსახლეობა სახნავ-სათესად მიწის ნაკვეთებს ტყის გაჩეხვით მოიპოვებდა, თან მენახშირეობასაც მისდევდა. ნახშირზე დიდ მოთხოვნილებას კი უფრო მეტი ხის მოჭრა მოჰყვა.

ტყე გაიჩეხა იქ, სადაც ძველად ხეს არავინ ჭრიდა – **დაფერდებულ ადგილებში**. დიდმა წვიმებმა კი **მეწყერი** გამოიწვია ზოგიერთ იმ ადგილას, სადაც ადრე ტყეები იყო. შედეგად, არაერთი დიდი ტრაგედია დატრიალდა.

წყარო 4. მეწყერი

დავალება

6. მოიძიე ინფორმაცია, რატომ გაჩნდა გამოთქმა, „გორელივით რა შუა გზაზე დადიხარ!“
7. დაგეგმეთ კლასში შაბათობა. ამისთვის წინასწარ მოემზადეთ:
   ა) გაეცანით ხის დარგვის წესებს.
   ბ) მოიმარაგეთ ხის ნერგები და ნიჩბები.
   გ) შეარჩიეთ ადგილი, სადაც ნერგებს დარგავთ.

ურთიერთდახმარება ძველად

მხარში ამოდგომა საქართველოს ყველა კუთხეში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ქართლში ადამიანები ერთმანეთს ეხმარებოდნენ ხვნა-თესვის, მკის დროს. სხვანაირად წარმოუდგენელიც იყო, რადგან დიდ ქართულ გუთანში დაახლოებით 16-18 ხარ-კამეჩს აბამდნენ. ამდენი ხარ-კამეჩი კი ერთ ოჯახს იშვიათად ჰყავდა. ამიტომ აუცილებელი იყო შეამხანაგება, ურთიერთდახმარება. ასეთ შრომით გაერთიანებას **მოდგამს** უწოდებდნენ.

წყარო 5. მოდგამი

ქართლში ერთმანეთს მეურნეობის სხვა სფეროშიც ეხმარებოდნენ. აქ მეწველი საქონელი ცოტა ჰყავდათ, რის გამოც შრომით გაერთიანებას მიმართავდნენ. ამას **ხანულობას** უწოდებდნენ. ხუთი ან მეტი, ან ნაკლები მეზობელი ერთიანდებოდა და ერთი კვირის განმავლობაში ძროხის ნაწველი ერთ მეზობელთან იყრიდა თავს, მეორე კვირას – მეორესთან და ა. შ. ხანულობით მცირერიცხოვანი პირუტყვის პატრონი ზამთრისთვის ყველისა და ერბოს მარაგს აგროვებდა.

ქართლშივე მეზობლები და ნათესავები ერთმანეთს მხარში ედგნენ სახლის მშენებლობის დროსაც. უსასყიდლოდ ეხმარებოდნენ ქვრივებსა და ობლებს. ასე რომ, მხარში ამოდგომა უძველესი ქართული ტრადიციაა. საქართველოში ერთი ასეთი ანდაზაც არსებობს: „მარტო კაცი ჭამაშიც ცოდოაო“.

დავალება

8. როგორ გესმის ანდაზა „მარტო კაცი ჭამაშიც ცოდოაო“.
9. გამოკითხე მეგობრები, ვინმეს ხომ არ სჭირდება შენი დახმარება და თუ შესაძლებლობა გაქვს დაეხმარე.
10. შესთავაზე, თანაკლასელებთან ერთად, სკოლის დირექციას დახმარება ეზოს გამწვანებასა ან სხვა რაიმე ღონისძიებაში.

რა ვიცი და რა შემიძლია

1. გაიხსენე, რომელი სტიქიური მოვლენებია ყველაზე მეტად დამახასიათებელი ქართლისთვის.
2. მოამზადეთ ჯგუფურად პროექტი: „რა ზომებია მისაღები ჩვენს მხარეში სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად“?

დაგეგმეთ პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი ნაბიჯები:

ა) აიღეთ ინტერვიუ უფროსებისგან, რომელი სტიქიური მოვლენა ხდება თქვენს მხარეში ყველაზე ხშირად, რა იწვევს მას და რა შედეგები მოსდევს.

ინტერვიუსთვის საგანგებოდ მოემზადეთ:

- შეთანხმდით, ვის გამოკითხავთ
- წინასწარ მოიფიქრეთ კითხვები და გაინაწილეთ ისინი
- ჩაიწერეთ პასუხები დიქტოფონზე ან რვეულში
- შეაჯერეთ ერთმანეთს მიღებული პასუხები და გამოიტანეთ დასკვნები: რა სტიქიური მოვლენა ხდება ყველაზე ხშირად თქვენს მხარეში, რა იწვევს მას, უფროსების აზრით.

წყარო 1. მეწყერი, მისი მიზეზი და შედეგები

წყარო 2. სეტყვა

ბ) მოიძიეთ ინტერნეტში დამატებითი ინფორმაცია ამ სტიქიურ მოვლენაზე და მის მიზეზებზე. ამისთვის მოძებნეთ, ინფორმატიკის მასწავლებელთან ერთად, შესაბამისი ვებგვერდები.

გ) შეაჯამეთ ინტერვიუსა და ინტერნეტის (ანუ ელექტრონული) მასალები და მოამზადეთ პრეზენტაცია PPT-ში, სადაც თეზისების სახით ჩამოაყალიბებთ კვლევის შედეგებს და წარუდგენთ კლასელებს.

დ) მოამზადეთ პლაკატი. მასზე, შესაბამისი ნახატის გარდა, იქნება მოწოდება, რომელიც გაახსენებს საზოგადოებას, რა გზით შეიძლება მისგან თავდაცვა.

ე) მოაწყეთ პლაკატების გამოფენა.

წყარო 3. პლაკატზე მუშაობა

ინტერვიუს ფორმა

რესპოდენტის სახელი .....

1. არის თუ არა აღნიშნული პრობლემა მნიშვნელოვანი და რატომ?
2. როგორია სახელმწიფოს როლი ამ პრობლემების მოგვარებაში?
3. რა დამოკიდებულება აქვთ მოქალაქეებს ამ პრობლემის მიმართ?
4. სად შეგვიძლია მოვიპოვოთ ინფორმაცია ამ პრობლემაზე?

ფორმა, ინტერვიუში მონაწილე ჯგუფის გეგმის შესადგენად

რესპოდენტი .....
თარიღი .....
ადგილი .....
ჯგუფის წევრები: .....

	ძირითადი კითხვა	კითხვის ავტორი	ჩანაწერზე პასუხისმგებელი

დამატებითი ინფორმაციის მოპოვების საინფორმაციო საშუალებები:

ბიბლიოთეკა
ბეჭდური მედია
მასწავლებლები
ელექტრონული საინფორმაციო საშუალებები.

კარი 2.
იმერეთი



ამ კარში გაიცნობ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს – იმერეთს. გეცოდინება, სად მდებარეობს, როგორი ბუნება აქვს და რა გავლენა აქვს ამას დასახლების ტიპზე, შენობებსა და მეურნეობის დარგებზე; როგორ ახერხებდნენ სახლების ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანას; რატომ დადიოდა იმერეთის მოსახლეობა გარესამუშაოებზე; როგორ შეიცვალა დროთა განმავლობაში ეს მხარე; კულტურის რომელი ძეგლები მდებარეობს იმერეთში და რატომ უნდა გავუფრთხილდეთ მათ.


ქუთაისი
ნავენახევი
თერჯოლა
ზესტაფონი
შორაპანი
ბაღდათი
ტყიბული
ტყიბულის წყლსც.
ნაქერალას უღ.
1217
გურნა
ხრეითი
ჭიათურა
კაცხი
ყვირილა
საჩხერე
სხვიტორი
პერევი
მ. ლებეურისმთა
2862
კორბოული
ბეღლევი
ძირული
უღ. ჯვარი
გრიგალეთი
რიკოთის უღ.
999
ჩხერიმელა
ხარაგაული
ხანი
ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი
აჯამეთის ნაკრძალი
კურ. საირმე
2496
ზეკარის უღ.
0
9კმ
პირობითი აღნიშვნები
დასახლებული პუნქტები
მხარის ცენტრი
მუნიციპალიტეტის ცენტრი
სხვა დასახლებული პუნქტი
კურორტი
გზები
ავტომაგისტრალი
გზატკეცილი
რკინიგზა
საზღვრები
სახელმწიფოს
ისტორიულ-გეოგრაფიული
პროვინციის
დაცული ტერიტორიის
ჰიდროგრაფია
მდინარე
ტბა, წყალსაცავი
ჩანჩქერი
სხვა აღნიშვნები
სიმაღლითი ნიშნული
უღელტეხილი
კარსტული მღვიმე
აეროპორტი

2.1 იმერეთის მდებარეობა და ბუნება

სად მდებარეობს იმერეთი და ბუნების რომელი ღირსშესანიშნაობებია იქ?

იმერეთი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა. გეოგრაფიულად მას საქართველოს ცენტრალური ადგილი უკავია. სახელწოდება „იმერეთი“ წარმოიშვა სიტყვიდან „იმიერი“ ანუ **ლიხის ქედის** იქითა, იმიერი მხარე. ლიხის ქედი საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად ყოფს. ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული თვალსაზრისით, იმერეთი ორ ნაწილად იყოფა – **ზემო იმერეთად** და **ქვემო იმერეთად**. მრავალი საუკუნის წინ იმერეთს **არგვეთსაც** უწოდებდნენ. იმერეთის ცენტრია ქალაქი **ქუთაისი**.

წყარო 1. ქუთაისის ხედი

დავალება

1. ჩამოთვალე, რუკის (გვ. 50-51) დახმარებით, საქართველოს რომელი კუთხეები ესაზღვრება იმერეთს.
2. გაარკვიე, რუკის (გვ. 6-7) დახმარებით, რომელი უღელტეხილი უნდა გაიარო, თუ იმერეთიდან სამანქანო გზით რაჭაში წახვალ.
3. გაარკვიე, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების რუკის დახმარებით (გვ. 8-9), რომელი მხარეები უნდა გადავკვეთოთ ქუთაისიდან შავ ზღვამდე მისასვლელად.
4. ჩამოთვლილთაგან, რომელი დასახლებული პუნქტები არ მდებარეობს იმერეთის ტერიტორიაზე – ქუთაისი, ზესტაფონი, სამტრედია, საჩხერე, ჭიათურა, ვანი, ბათუმი, გორი, თერჯოლა, ბაღდათი, თელავი, შროშა, მესტია.
5. მოძებნე რუკაზე (გვ. 50-51), რომელი დაცული ტერიტორიები მდებარეობს იმერეთში.

ზემო იმერეთი და ქვემო იმერეთი ერთმანეთისგან ბუნებრივი პირობებით განსხვავდება. ზემო იმერეთი მთაგორიანი მხარეა, სადაც ბევრი გორაკ-ბორცვი და ხეობაა. მისი ჰავა უფრო მშრალია, ვიდრე ქვემო იმერეთში, რომელიც კოლხეთის დაბლობზეა გაშლილი. აქ, ძირითადად, ვაკე ადგილებია.

იმერეთი მდიდარია მღვიმეებით. ყველას ბუნების ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული და მათზე სახელმწიფო განსაკუთრებულად ზრუნავს. მრავალრიცხოვანი მღვიმეებიდან აღსანიშნავია **პრომეთეს**, **სათაფლიას**, **წყალტუბოს (თეთრას)**, **ნავენახევის** მღვიმეები. მიწისქვეშ არსებული დარბაზები მდიდარია **სტალაქტიტებით, სტალაგმიტებით**, გაქვავებული ჩანჩქერებით და ჩამოკიდებული ქვის ფარდებით. სათაფლია ერთადერთი ადგილია მსოფლიოში, სადაც დინოზავრების 200-მდე ნაკვალევია აღმოჩენილი.

წყარო 2. პრომეთეს მღვიმე

წყარო 3. დინოზავრის ნაკვალევი. წყალტუბოში აღმოჩენილი დინოზავრის ნაკვალევი დაახლოებით 50-60 მილიონი წლის წინანდელია. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ იმ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე ათობით სხვადასხვა სახეობის დინოზავრი ცხოვრობდა. მათი უმეტესობა ბალახისმჭამელი იყო, თუმცა მტაცებელი დინოზავრებიც იყვნენ.

წყარო 4. დინოზავრის აღდგენილი ჩონჩხი

დავალება

6. მოამზადე პრეზენტაცია თემაზე „დინოზავრები საქართველოში“. გამოიკვლიე მათი გადაშენების მიზეზი. დავალების მომზადებისას გამოიყენე დამხმარე მასალები ვებგვერდიდან: http://tskaltubo-crt.ge/portfolio/sataplia/
7. წარმოადგინე პრეზენტაცია იმერეთის შემაჯამებელ გაკვეთილზე.

წყარო 5. ჩანჩქერი კინჩხა

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ღრმა კანიონი – **ოკაცე** და მაღალი ჩანჩქერი – **კინჩხა** იმერეთში მდებარეობს. ეს მხარე ასევე ცნობილია ბუნების ერთ-ერთი საოცრებით – **კაცხის სვეტით**, რომელიც ზემო იმერეთის სოფელ კაცხშია. ეს არის ბუნებრივი კლდოვანი ქვის მასა, რომელსაც სვეტის ფორმა აქვს. მისი სიმაღლე 40 მეტრია. მაღალი სვეტის თავზე ჩვენმა წინაპრებმა ეკლესია ააშენეს.

ბუნების საოცრებების გარდა, იმერეთი განთქმულია სამკურნალო წყლებით და წიაღისეულით. აქ არის ცნობილი კურორტები წყალტუბო და საირმე. ქვანახშირით მდიდარია ტყიბული, ხოლო მანგანუმით – ჭიათურა.

წყარო 6. კაცხის სვეტი

წყარო 7. კურორტი საირმე

საირმე

ხალხში გავრცელებული თქმულების თანახმად, საირმის წყაროები დაჭრილი ირმის კვალს ადევნებულმა მონადირეებმა აღმოაჩინეს. იმ ადგილზე, სადაც ირმის ჯოგები ხშირად იყრიდნენ თავს, ჟანგით გაწითლებულ ქვებზე წყარო მიედინებოდა. წყაროდან ცოტა მოშორებით მწყემსებმა კიდევ ერთი უცნაური ადგილი შეამჩნიეს, სადაც ბალახი მუდამ მწვანე იყო, თოვლი სწრაფად დნებოდა, ხოლო წვიმის შემდეგ მიწა რამდენიმე წუთში შრებოდა. როგორც გაირკვა, ამ საოცრების მიზეზი თერმული მინერალური წყალი იყო.

სამკურნალო წყლის გარდა, საირმეში წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები და სუფთა ჰაერია. ამიტომ იქ ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად ყველა პირობა არის შექმნილი.

წყარო 8. მდინარე წყალწითელა

ლეგენდა წყალწითელაზე

იმერეთში მიედინება მოწითალო ფერის მდინარე, რომელსაც წყალწითელა ჰქვია. მისი მოწითალო ფერის გამო ხალხმა ლეგენდა შექმნა, რომლის მიხედვით, მდინარის წყალი ერთ-ერთი ბრძოლის შემდეგ წითლად შეიღება. გადმოცემით, ამ ბრძოლაში ქართველებმა მტერი სასტიკად დაამარცხეს და მდინარეც ამის შემდეგ გაწითლდა. მაგრამ ეს მხოლოდ ლეგენდაა. სიმართლე კი ის არის, რომ წყალს წითელი ფერი წითელი მიწის გამო აქვს.

დავალება

8. როგორ ფიქრობ, რა არის საჭირო, რომ დავიცვათ ცხოვრების ჯანსაღი წესი. ასეთი ცხოვრების წესისთვის საირმეში რა პირობები არსებობს?
9. მოიძიე ინფორმაცია, კიდევ რომელი სამკურნალო კურორტები მდებარეობს იმერეთში. რა დაავადებებს კურნავენ იქ?
10. რატომ ეწოდა მდინარეს წყალწითელა?
11. ბუნების რომელი საოცრებებია შენს მხარეში? მოიძიე მათზე ინფორმაცია.
12. რომელი წიაღისეულია შენს მხარეში? რისთვის იყენებენ მას?

ლექსიკონი

კანიონი – მდინარის ღრმა ხეობა.

სტალაქტიტი – გამოქვაბულის თაღიდან კონუსისებურ სვეტად ჩამოგრძელებული შვერილი, რომელიც გაჩენილია ჩამოჟონილი კირიანი წყლის წვეთებისგან.

სტალაგმიტი – გამოქვაბულის ძირიდან კონუსისებურ სვეტად აღმართული შვერილი, რომელიც გაჩენილია თაღიდან ჩამონადენი კირიანი წყლის წვეთებისაგან.

2.2 დასახლების ტიპები იმერეთში

რა გავლენა აქვს გარემოს იმერეთის დასახლების ტიპებზე?

ლექსიკონი

კონსული – თანამდებობის პირი, რომელიც თავისი სახელმწიფოს და მისი მოქალაქეების ინტერესებს წარმოადგენს და იცავს უცხო სახელმწიფოს რომელიმე ტერიტორიაზე.

მოსახლეობა ზემო იმერეთში, უმეტესად, ხეობებშია დასახლებული. მათი სოფლები დიდ ტერიტორიაზეა გაშლილი და სხვადასხვა უბნისგან შედგება.

ქვემო იმერეთში დასახლება უფრო გაშლილია და ეზო-კარმიდამოებიც დიდია. მთაგორაკიანი და ტყიანი რელიეფის გამო, იმერეთში მტერი იშვიათად აღწევდა. ამიტომ არ იყო აუცილებელი მოსახლეობის ერთად, შეჯგუფულად, ცხოვრება.

წყარო 1. სოფელი ზემო იმერეთში

წყარო 2. მე-17 საუკუნის შუახანების რუსეთის ელჩი იმერეთში დასახლების ტიპებზე

„სოფლები და დაბები, აგრეთვე თვით სოფლებსა და დაბებში სახლები, ერთმანეთისაგან დაცილებულია, გაფანტულია ბორცვებზე, დაბლობებზე, მთებს შორის და მთებზედაც. მათი დასახლება და სახნავ-სათესიც იქ არის, სადაც წყაროებია. მხოლოდ მიჯრით, ერთად კი არ არიან დასახლებულები, არამედ ორი, სამი, ათი და ოც-ოცი კომლი და ესენიც ერთმანეთისგან ერთი ისრის ტყორცნის მანძილით არიან დაშორებულები. ყოველ ეზოს გარშემორტყმული აქვს ყველანაირი ხილეული და ვაზი. ისე გეგონება, ტყეში ცხოვრობენ, არც კი მოჩანს“.

✓ დავალება

1. აღწერე, წყარო 2-ის მიხედვით, XVII საუკუნის შუახანებში იმერეთის დასახლების ტიპები.



წყარო 3. სოფელი ქვემო იმერეთში

წყარო 4. საფრანგეთის კონსული მე-19 საუკუნის 20-იან წლებში იმერელთა დასახლებებზე

„იმერლები სამეურნეოდ დაბლობს იყენებენ, მაგრამ სახლ-კარად მაღლობ პლატოებს, წყაროებთან ახლოს. ციებისაგან თავის დასაცავად, ამ წინდახედულობის გარდა... სახლებში ცეცხლი მუდმივად, დღედაღამ, უნთიათ. ეს ჰაერის გაწმენ-დის ყველაზე საუკეთესო საშუალებაა და, ამასთანავე, მიწის სინესტესაც შთანთქავს...“

იმერული საცხოვრებელი სახლები

ორი საუკუნის წინ იმერეთში გარდა ერთსართულია-ნი სახლებისა, ორსართულიან სახლებსაც აშენებდნენ. ორ-სართულიანი ოდასახლის პირველ სართულს ქვითკირით ან, ნაწილობრივ, ხით აშენებდნენ. მეორე სართული მთლიანად ფიცრისაგან იყო შეკრული. ხის სახლები, ძირითადად, ქვის სვეტებზე იყო დაყრდნობილი, რის წყალობითაც, სახლი

წყარო 5. იმერული ერთსართულიანი ოდასახლი. გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმი სოფ. ჭყვიშში

წყარო 6. თანამედროვე სახლი იმერეთში

დავალება

2. დაახასიათე, წყაროების 1-4, ასევე, გაკვეთილის 2.1 ტექსტის დახმარებით იმერეთის ბუნება.
3. როგორ ფიქრობ, წყარო 4-ში ფრანგი კონსულის სიტყვები ქვემო იმერლებს ეხება თუ ზემო იმერლებს? პასუხი დაასაბუთე.
4. შეადარე ერთმანეთს წყაროები 2 და 4: რა დაემთხვა და რით განსხვავდება ამ ორი ავტორის აღწერა?

ლექსიკონი

საბძელი – ბზისა და საქონლის სხვა საკვების შესანახი ნაგებობა.

ყავარი – შენობა-ნაგებობის გადასახურად გამოყენებული თხელი ფიცარი.

ოწინარი – სიმძიმეთა ასაწევი ტექნიკური ხელსაწყო.

სინესტისგან იყო დაცული. ოდას წინა მხრიდან (ზოგჯერ გვერდებიდანაც) ლამაზი აივანი მიუყვებოდა. აივნის მოაჯირი მოჩუქურთმებული იყო. იმერელი გლეხის კარ-მიდამო სხვადასხვა დანიშნულების სამეურნეო ნაგებობებს მოიცავდა: ნალია, საბძელი, საქათმე, მარანი, ბოსელი, საღორე...

სახლების გადაადგილების იმერული ტრადიცია

იმერეთში სახლებთან დაკავშირებით ერთი ტრადიცია ჰქონდათ. ვინაიდან იმერული სახლები ხისგან (ფიცრისგან) იყო შეკრული და ქვის სვეტებზე იდგა, შესაძლებელი იყო სახლის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა. დღეს მსგავსი რამ არავის უკვირს და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ხშირად გადააქვთ სახლები, თუმცა წარსულში მძიმე ტექნიკისა და სატვირთო მანქანების გარეშე ეს გაცილებით რთული იყო. სახლის გადატანის დროს მეზობლები ერთმანეთს ეხმარებოდნენ. ტყეში ჭრიდნენ მსხვილ ხეებს და მათ ისე ასუფთავებდნენ, რომ საგორავად გამომდგარიყო. საგორავების რაოდენობა სახლის ზომაზე იყო დამოკიდებული. სახლს კრამიტს ან ყავარს მოხსნიდნენ, **ოწინარებით** აწევდნენ და საგორავებზე დადებდნენ. საგორავებით, რა მანძილზედაც უნდოდათ, გადაიტანდნენ და ახალ ადგილას კვლავ სვეტებზე დგამდნენ. იმერელი გლეხის თქმით, „ქე წივწივებდა სახლი, მარა არ ირღვეოდა“. იმერეთის მსგავსად, სახლები სამეგრელოშიც გადაჰქონდათ.

წყარო 7. იმერლები. XIX საუკუნის მეორე ნახევარი

დავალება

5. როგორ ფიქრობ, რატომ აგებდნენ იმერეთში, ძირითადად, ხის სახლებს?
6. დააკვირდი წყაროებს 6 და 7. რომელ განახლებულ დეტალებს ხედავ? ახსენი შენი მოსაზრება.
7. რაზე მეტყველებს იმერელი გლეხის კარ-მიდამოში სხვადასხვა დანიშნულების სამეურნეო ნაგებობების არსებობა?
8. შენი აზრით, რატომ დგამდნენ სახლებს ქვის სვეტებზე.
9. იმსჯელე, რა მიზეზებით შეიძლება აიხსნას სახლების ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანის სურვილი ან საჭიროება.

დავალება

10. აღწერე წყარო 7. როგორია იმერელების სამოსი. რა მსგავსებას ან განსხვავებას ხედავ სხვა მხარეების, მაგალითად, ქართლის სამოსისგან (გვ. 43, წყარო 4).

2.3 იმერელთა სამეურნეო საქმიანობა

რა გავლენა აქვს გარემოს იმერეთის მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობაზე?

ქვემოიმერელთა და ზემოიმერელთა სამეურნეო საქმიანობა განსხვავებული იყო. ქვემო იმერეთში ბაღებში აქვთ დაფნა, ლეღვი, ხურმა, მანდარინი, ჩაი. ზემო იმერეთში კი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ეს ხილი გავრცელებული არ არის. ქვემო იმერეთში, ძირითადად, მარცვლეული კულტურები მოჰყავდათ, მაგრამ აქ ვაზი ნაკლებად იყო გავრცელებული. სამაგიეროდ მაღლობ ადგილებში ანუ ზემო იმერეთში, უმთავრესად, მევენახეობასა და მესაქონლეობას მისდევდნენ. იმერეთის **პლატოზე**, ძირითადად, მარცვლეული კულტურების მოყვანით იყვნენ დაკავებული. აქ მარცვლეულის ყველა ჯიში არსებობდა, მაგრამ უპირატესობას მაინც ფეტვსა და ღომს ანიჭებდნენ. სიმინდის კულტურის შემოსვლის შემდეგ კი ის წამყვანი კულტურა გახდა.

ლექსიკონი

პლატო – ზღვის დონიდან მაღლა მდებარე ვაკე.

ფუჩეჩი – სიმინდის ტაროს გარშემო შემოხვეული ფოთოლი.

სიმინდი საქართველოში

წყარო 1. სიმინდი

სიმინდის სამშობლოა ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა. საქართველოში ის XVII საუკუნეში გავრცელდა და მას შემდეგ დიდი მოწონებით სარგებლობს. მისი მოვლა და გადამუშავება, ღომთან და სხვა მცენარეულ კულტურებთან შედარებით, ბევრად ადვილია. ის მოსავლიანია. დღეისათვის ხორბლის შემდეგ სიმინდი ყველაზე გავრცელებული მცენარეული კულტურაა. მან დასავლეთ საქართველოში ბევრი ადგილობრივი კულტურა, მათ შორის, ღომი და ფეტვი ჩაანაცვლა. დროთა განმავლობაში, საქართველოში სიმინდის ახალი ჯიში გამოიყვანეს, რომელიც ადგილობრივ კლიმატურ პირობებს კარგად შეეგუა და უხვმოსავლიანობით გამოირჩევა.

საქართველოში სიმინდი ყოველმხრივ გამოსაყენებელი მცენარეა. მოსახლეობა მის მარცვალს საკვებად იყენებს; ღეროთი და მარცვლებმოცლილი ტაროთი ზამთარში შინაურ ცხოველებს კვებავს; სიმინდის წვერისაგან სამკურნალო ნაყენს ხარშავს, ხოლო ფუჩეჩით გაზაფხულზე ვაზის ყლორტებს აბამს, რომ სიგრძეში სასურველი მიმართულებით გაიზარდოს.



წყარო 2. სიმინდის გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულებით

დავალება

1. როგორ ფიქრობ, რატომ ჩაანაცვლა სიმინდის კულტურამ ღომის კულტურა საქართველოში?
2. ჩამოთვალე, რისთვის იყენებენ დღეს სიმინდს?
3. შექმენი შენი სამზარეულოს წესები. დაასახელე (შენი აზრით) რომელი იმერული კერძები მოუხდება სიმინდისგან მომზადებულ პროდუქტს.

წყარო 3. იმერული ხაჭაპური

იმერული სამზარეულო

იმერული სამზარეულოს მშვენებაა ხაჭაპური. აქ, როგორც წესი, კეცზე აცხობენ. იკვებებიან მხალეულითა და ფრინველის ხორცით. მხალეულს იმერეთში ნიგვზითა და ძმრით, სუნელებით კაზმავენ, შემწვარ ხორცეულს კი ნიორწყალში ან საწებელში აწყობენ. აქაურების სიამაყეა ცხოველების შიგნეულობისაგან დამზადებული კერძი – კუჭმაჭი. იმერეთში ტრადიციულად ამზადებენ სოკოს კერძებს, რომელთაგანაც გამოირჩევა ქამასოკოს, ნიყვისა და მანჭკვალასაგან დამზადებული კერძები. აქაურების ძირითადი საჭმელია ამოლესილი ლობიო, რომელსაც ხშირად ნიგვზით ან დადუღებული ტყემლის წვენით, კვაწარახით ამზადებენ.

ლექსიკონი

კოკა – სითხის ჩასასხმელი ჭურჭელი, რომელშიც 16-დან 24 ლიტრამდე სითხე ეტევა.

იმერეთში ვაზი და ხეხილი ძირითადად ეზოში ჰქონდათ დარგული ისე, რომ შორიდან ტყეს ჰგავდა და სახლები თითქმის არ ჩანდა. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში თითოეული ოჯახი გადასახადის სახით 13-დან 25 **კოკამდე** ღვინოს იხდიდა. იმერელ მევენახეებს საუკუნეების განმავლობაში ვაზის 75-ზე მეტი ჯიში ჰქონდათ გამოყვანილი. მევენახეობის ფორ-

მები ბევრნაირი იყო – ჰქონდათ როგორც ბუნებრივ, ასევე ხელოვნურ საყრდენზე გამართული ვენახი. აქ ერთმანეთს ენაცვლებოდა **მაღლარი** და **დაბლარი ვენახი**. მართალია, მაღლარი ვაზი რთული მოსავლელია და მოსავალიც ცოტა აქვს, მაგრამ მაღლა გაშვებული ვაზი ხალისობს, რადგან მას ნიავი უვლის და ობი არ ეკიდება.

ლექსიკონი

მაღლარი ვაზი – ხეზე აშვებული ვაზი.



წყარო 4. ვენახი ზემო იმერეთში

წყარო 5. ფრანგი მოგზაური ბარონი დე ბაი იმერეთში ვაზის შესახებ:

„ვაზი ამ ქვეყანაში ყველა მცენარის დედოფალია, ხოლო ღვინო ადამიანისთვის ნამდვილ კულტს წარმოადგენს“.

დავალება

4. რატომ ჯობს გრილ და ნესტიან ადგილზე მაღლარი ვენახი დაბლარს?
5. გადმოეცი შენი სიტყვებით ფრანგი მოგზაურის სიტყვები (წყარო 5).

იმერეთი საუკუნეების განმავლობაში დასავლეთ საქართველოში სამეთუნეო წარმოების ცენტრი იყო. დღეს კი თიხის წარმოება რამდენიმე სოფელშია შემორჩენილი. უკვე აღარავინ იყენებს თიხის ჭურჭელს ოჯახებში და იგი მხოლოდ სუვენირად იქცა. სოფელი შროშა, რიკოთის უღელტეხილზე, საავტომობილო გზის პირას მდებარეობს. იქ დღემდე აწარმოებენ თიხის ნაკეთობებს და ადგილზე ყიდიან.

წყარო 6. თიხის ნაკეთობებით ვაჭრობა გზის პირას სოფელ შროშაში

დავალება

6. როგორ ფიქრობ, რამ შეუწყო ხელი სოფელ შროშაში მეთუნეობის განვითარებას?
7. რას ამზადებენ იმერლები თიხისგან (წყარო 6)?

2.4 კულტურის ძეგლები იმერეთში

კულტურის რომელი ძეგლები მდებარეობს იმერეთში და რატომ უნდა გავუფრთხილდეთ მათ?

იმერეთში ქართული კულტურის არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლია. აქ მდებარეობს: გელათის სამონასტრო კომპლექსი, ბაგრატის ტაძარი, უბისა და მოწამეთა. გელათი **დავით აღმაშენებლის** აშენებულია. იქ არის როგორც მისი, ასევე თამარისა და სხვა მეფეთა ფრესკები.

წყარო 1. გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ მესამის აგებული ბაგრატის ტაძარი (**რეკონსტრუქციამდე**), რომელიც ქუთაისში მთავარ გორაზე დგას და რომელიც ქუთაისის სხვადასხვა უბნიდან კარგად ჩანს. ტაძარი XVII საუკუნის ბოლოს იმერეთში შეჭრილმა ოსმალებმა დაანგრიეს.

წყარო 2. ბაგრატის ტაძარი **რეკონსტრუქციის შემდეგ**, რომელიც 2009 წელს დაიწყო. რეკონსტრუქციის შედეგად ძეგლმა ახალი დეტალები შეიძინა.

წყარო 3. მოწამეთას სამონასტრო კომპლექსი

მოწამეთას სამონასტრო კომპლექსი წყალწითელას ხეობაშია. ეს სახელი მას დიდი ხნის წინ ეწოდა. VIII საუკუნეში საქართველოში შეჭრილ მტერს **არგვეთის მთავრებმა – დავითმა და კონსტანტინემ** დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. ბოლოს მაინც დამარცხდნენ და ტყვედ ჩავარდნენ, მათი ვაჟკაცობით მოხიბლულ მტერს ძმების უპირობოდ დახოცვა არ სურდა, ამიტომ მათ ქრისტიანული სარწმუნოების შეცვლა მოსთხოვა, უარის მიღების შემდეგ კი სიკვდილით დასაჯა. მოსახლეობამ გმირი მთავრები მათსავე აშენებულ მონასტერში დაასვენა და ამ ადგილს მოწამეთა უწოდა.

წყარო 4. გელათის სამონასტრო კომპლექსი

გელათი საუკუნეების მანძილზე იმერეთისა და სრულიად საქართველოს კულტურული ცენტრი იყო. აქ მდებარეობდა აკადემია, სადაც სასწავლებლად მთელი საქართველოდან და საზღვარგარეთიდანაც კი ჩამოდიოდნენ.

დავალება

1. მოიძიე, რა საგნებს ასწავლიდნენ გელათის აკადემიაში. დღეს მათგან რომელს ასწავლიან და რომელს არა? ახსენი, რატომ.
2. მოიძიე, რას ნიშნავს არგვეთი.
3. რა წესებს იცავ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსა და მუზეუმებში ექსკურსიის დროს.
4. მოიძიე ინფორმაცია ვებგვერდიდან ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქციაზე. რატომ ამოიღო ბაგრატის ტაძარი იუნესკომ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიიდან.
5. იმსჯელეთ, რა მნიშვნელობა აქვს ძეგლის პირვანდელი იერსახის შეანრჩუნებას.

ლექსიკონი

მუზეუმი – შესწავლის, განათლების მიზნით ან ვიზუალური სიამოვნებისთვის იძენს, ინახავს, იკვლევს და გამოჰფენს ადამიანთა შემოქმედებისა და მათი გარემოს აღმწერ ფაქტებზე არსებულ მნიშვნელოვან მასალას.

2.5 ყოველდღიური ცხოვრება იმერეთში

როგორი იყო და რამდენად შეიცვალა საოჯახო ყოფა იმერეთში?

საოჯახო ყოფა ადამიანის ყოველდღიური საქმიანობაა. წარსულში ტექნოლოგიები არ იყო განვითარებული და ადამიანები, დღევანდელთან შედარებით, უფრო ბევრს შრომობდნენ. მათი ძირითადი საოჯახო საქმიანობა სოფლის მეურნეობა იყო.

დღეს ოჯახების უმრავლესობაში ჩვეულებრივი დღე დილის 9 საათზე სამსახურში წასვლით იწყება. წარსულში ყველა საკუთარ ოჯახში იყო დასაქმებული. მამაკაცები საოჯახო საქმეების შესასრულებლად გამთენიისას დგებოდნენ. იმერეთში მესაქონლეობასაც მისდევდნენ და მიწათმოქმედებასაც, ამიტომ ჯერ შინაურ საქონელს გაისტუმრებდნენ საძოვარზე და მოგვიანებით მიწაზე სამუშაოდ მიდიოდნენ. ქალები ძირითადად სახლში იყვნენ და საოჯახო საქმეებს ასრულებდნენ. ბავშვებს კი ხშირად პირუტყვის მწყემსობა ევალებოდათ. დღეს ქალებიც და კაცებიც სხვადასხვა სამსახურში ერთნაირად მუშაობენ, ბავშვები კი სკოლაში დადიან.

დავალება

1. შენი აზრით, წარსულში ბავშვები როგორ იღებდნენ განათლებას, თუ მთელი დღე საქონლის მწყემსვა უწევდათ?
2. ახსენი, რატომ ხნავენ მიწას ხარებით ზემო იმერეთში (წყარო 1).
3. რატომ მიდიოდნენ იმერეთიდან გარესამუშაოზე?
4. როგორ ფიქრობ, დღეს რა მიზეზით დადიან იმერეთის სოფლებიდან გარესამუშაოზე?
5. იმსჯელეთ კლასში, რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ შემცირდეს იმერეთიდან გარესამუშაოზე წასვლის მსურველთა რაოდენობა. ამისთვის გაიხსენეთ მეურნეობის ტრადიციული დარგები იმერეთში, ბუნებრივი სიმდიდრეები, ისტორიული ძეგლები და სხვ. ინფორმაცია იმერეთის შესახებ.

იმერლები გარესამუშაოებზე

ზემო იმერეთის მოსახლეობა დასამუშავებელი მიწის ნაკლებობის გამო გარესამუშაოზე ძირითადად ქართლში დადიოდა. იქ ერთ ოჯახს საშუალოდ ერთნახევარი-ორი დღის სახნავი მიწა ჰქონდა იმ დროს, როდესაც ქართლში ერთი კომლი საშუალოდ ოცი დღის სახნავს ფლობდა. იმერეთში ტერმინიც კი არსებობდა – „ნაქართლი“, რომელიც ისეთ კაცს ეწოდებოდა, რომელიც ქართლში სამუშაოდ დადიოდა. ხშირად შიდა ქართლში იმერელ მომღერლებს ქორწილშიც იწვევდნენ.

გარესამუშაოებზე სიარულის ტრადიცია ზემო იმერეთში დღემდე შემორჩა. თბილისში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს, ძირითადად, საჩხერიდან და ჭიათურის სოფლებიდან ჩასული მოსახლეობა აწარმოებს.

წყარო 1. მიწის დამუშავება ხარებით

როგორ ამზადებდნენ იმერეთში სავარცხელს

საქართველოს მოსახლეობა სავარცხელს, ჩვეულებრივ, მაღაზიაში ყიდულობს, თუმცა ძველად მაღაზიები არ იყო. მაშინ ჩვენი წინაპრები სავარცხელს თავად ამზადებდნენ. მისი დამზადება ყველამ არ იცოდა. იმერეთში და, ასევე, რაჭაში ამის მცოდნენი ბევრნი იყვნენ.

საუკუნეების წინ იმერეთში სავარცხელი ცხოველის მოხარშული რქისგან მზადდებოდა. ჯერ კიდევ 150 წლის წინ იმერელ ოსტატებს სავარცხელი დიდი რაოდენობით ქართლში გასაყიდად ან გასაცვლელად გაჰქონდათ.

ქართლში ერთი ხალხური ლექსი იყო გავრცელებული:

„გეტყობა იმერელი ხარ,
ზურგზე გკიდია გიდელი,
შიგ სავარცხლები გიწყვია,
ქალაქში გასაყიდელი“.

დავალება

6. შენი აზრით, დღეს რა მასალისგან და როგორ ამზადებენ სავარცხელს?

ყაბახი – სპორტული თამაში

ყაბახი ძველი ქართული ცხენოსნური თამაშია, რომელიც იმერეთში პოპულარული იყო. თამაშის დროს მშვილდოსანი მხედრები სასტარტო ხაზთან მწკრივდებოდნენ. ნიშანზე ერთ-ერთი მხედარი ჭენებით უახლოვდებოდა დაახლოებით ექვსმეტრიან ანძას, რომელზეც შემოდებული იყო თასი. ანძასთან სასურველ მანძილზე მიახლოებისას მხედარი მიზნის მიმართულებით ისარს ისროდა. გამარჯვება მას რჩებოდა, ვინც ყველაზე მოკლე დროში სამიზნეს მეტჯერ გადმოაგდებდა.

დავალება

7. ჩამოთვალე, რომელ სპორტულ თამაშობებს იცნობ. რა როლს ასრულებს სპორტი ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვაში? შენ რომელი მათგანით ხარ დაკავებული?

წყარო 2. ყაბახი ქუთაისში. კასტელის ნახატი

2.6 იმერეთის ქალაქები

როგორ და რატომ იცვლებოდა იმერეთის რეგიონი?

წარსულში იმერეთის მოსახლეობა, ძირითადად, სოფლებში ცხოვრობდა და სოფლის მეურნეობას მისდევდა. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ბევრი ადამიანი ქალაქებში გადასახლდა და სხვადასხვა ქარხანაში დასაქმდა. წინათ იმერეთში, ქუთაისის გარდა, არც ერთი ქალაქი არ იყო. XX საუკუნეში რამდენიმე ახალი ქალაქი გაჩნდა. ქალაქის წარმოქმნა ბუნებრივად ხდება, როდესაც რაიმე ადგილი დიდ მნიშვნელობას იძენს და იქ ბევრი ხალხი იყრის თავს. იმერეთში ასე წარმოიშვა ქალაქი **ჭიათურა**.

ჭიათურა მდინარე ყვირილას ვიწრო და დაკლაკნილ ხეობაში მდებარეობს. ლეგენდის მიხედვით, მას სახელი ბუნებრივად შეერქვა. დღევანდელი ჭიათურის ადგილას პატარა სოფელი იყო და მასზე მგზავრმა იკითხა, „ჭიაა თუ რაა?“ ასე შეერქვა ჭიათურას სახელი.



წყარო 1. ჭიათურა 100 წლის წინ

წყარო 2. ჭიათურაში საბაგირო გზები გადაადგილების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა

ჭიათურის ქალაქად გადაქცევის ისტორია და აკაკი წერეთელი

XIX საუკუნის ბოლოს ჭიათურაში მნიშვნელოვანი მადანი – მანგანუმი აღმოჩნდა. ბუნების ეს სიმდიდრე ხელუხლებელი იყო, ვიდრე აკაკი წერეთლის უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით არ დაიწყო საბადოს გეოლოგიური გამოკვლევა და შემდეგ მისი დამუშავება. უცხოელების დაინტერესების მიზნით აკაკი წერეთელმა ჭიათურის საბადოს შესახებ ბროშურა შეადგინა და პეტერბურგში ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და რუსულ ენებზე გამოსცა. მადნის მოპოვების დაწყებამ განაპირობა ჭიათურის ქალაქად გადაქცევა. მადნის მოპოვების ისტორია თვით ქალაქის ისტორიაც არის. „იქ სადაც დღეს არც გზაა და არც კვალი, რკინიგზა მოვა, ეს უდაბნო, ჭიათურა, გაშენდება“, – წერდა აკაკი.

ჭიათურაში მანგანუმის მსოფლიო მარაგის თითქმის ნახევარია. ამიტომ მისი აღმოჩენიდან რამდენიმე წელიწადში იქ მართლაც გაიყვანეს რკინიგზა, ააგეს საბაგირო გზები. ამას რამდენიმე ათასი ადამიანით მოსახლეობის ზრდა მოჰყვა.

ქუთაისის დაარსებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ასი ათასი წლის წინ ამ ტერიტორიაზე ადამიანები სახლობდნენ და მას შემდეგ ეს კვალი არ შეწყვეტილა. როგორც ქალაქი, იგი სავარაუდოდ, 3 500 წლის წინ დაარსდა. ქუთაისი ევროპის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. იგი პირველად მოხსენიებულია ძველ ბერძნულ მითში არგონავტების შესახებ, სადაც მას **კვიტაიას (აია)** უწოდებენ. ქუთაისი დასავლეთ საქართველოს კულტურული და პოლიტიკური ცენტრია. დღეს იქ საქართველოს პარლამენტი მდებარეობს, რაც მის პოლიტიკურ მნიშვნელობას ზრდის და ხელს უწყობს ქალაქის განვითარებას.

მართლმადიდებელი ქართველების გარდა, ქუთაისი მნიშვნელოვანი ქალაქი იყო ქართველი ებრაელებისა და კათოლიკე ქართველებისთვის. აქ ებრაელების დიდი ჯგუფი ცხოვრობდა. XIX საუკუნის დასაწყისში ისინი ქალაქის მოსახლეობის 25 პროცენტს შეადგენდნენ. მათ საკუთარი სალოცავი სახლის აშენებისა და ლოცვის უფლება ჰქონდათ. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ებრაელების დიდი ნაწილი ისრაელში გადასახლდა.

ქუთაისში მოღვაწე კათოლიკე ქართველებიდან აღსანიშნავია კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი, რომლის სახელსაც თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი ატარებს.

ქუთაისლების როლი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაში

პირველი ქართული უნივერსიტეტის თორმეტი დამაარსებლიდან შვიდი ქუთაისელი იყო. მაგალითად, ფილოსოფოსი შალვა ნუცუბიძე, ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე, მათემატიკოსი ანდრია რაზმაძე, ფილოლოგები – იოსებ ყიფშიძე, კორნელი კეკელიძე
და სხვ.

წყარო 3. საქართველოს პარლამენტის შენობა ქუთაისში

დავალება

1. დააკავშირე აკაკი წერეთლის სიტყვები ჭიათურაზე წყარო 1-ს. როგორ ფიქრობ, წყარო 1-ზე გამოსახული ჭიათურის ფოტო მადნის მოპოვების დაწყებამდეა გადაღებული თუ მის შემდეგ.
2. შენი აზრით, როგორ ახასიათებს აკაკი წერეთელს მისი წვლილი ჭიათურის ქალაქად გადაქცევაში.
3. მოიძიე ინფორმაცია იმერეთის სამრეწველო ქალაქებზე. იმსჯელეთ ამ ქალაქებში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზებზე.
4. ახსენი, რატომ გაიზარდა ჭიათურის მოსახლეობა და რა შედეგი მოჰყვა ამას.
5. როგორ ფიქრობ, დღეს რომელიმე სოფლის ქალაქად გადაქცევა შესაძლებელია თუ არა? პასუხი დაასაბუთე.
6. მონიშნე დროის ხაზზე, როდის დაარსდა ქუთაისი.
7. მოიძიე, რომელი ოპერები დაწერა ზაქარია ფალიაშვილმა?
8. დაგეგმეთ ზაქარია ფალიაშვილის ოპერაზე „აბესალომ და ეთერი“ დასწრება.

რა ვიცი და რა შემიძლია

1. მოაწყეთ ექსკურსია მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (ან თბილისის მუზეუმში ღია ცის ქვეშ). ექსკურსიისთვის საგანგებოდ მოემზადეთ:
   - გადაიმეორეთ განვლილი მასალიდან თქვენთვის საინტერესო საკითხები.
   - მოიძიეთ მათზე დამატებითი ინფორმაცია.
2. განიხილეთ ექსკურსიის შედეგები:
   - რა იყო ახალი, რაც მუზეუმში ნახე?
   - ჩაინიშნე რვეულში მუზეუმში მიღებული დამატებითი ინფორმაცია.
   - გააკეთე იმ ნივთის ჩანახატი, რომელიც მოგეწონება.
   - დაიცავი მუზეუმში ქცევის წესები.
3. მეგობრებთან ერთად, კლასში მოაწყეთ ეთნოგრაფიული ნივთების კუთხე.
   - სახლში მოძებნეთ ძველი ნივთები და ერთად მოუყარეთ თავი.
   - მოიძიეთ თითოეული ნივთის ისტორია და მოირგეთ ექსკურსიამძღოლის როლი.
4. მოაწყეთ ძველი სათამაშოების კუთხე. სახლში მოძებნეთ მშობლების ნახმარი სათამაშოები და ერთად მოუყარეთ თავი. ასევე შეაგროვეთ ხელნაკეთი სათამაშოები (წინათ ხომ ყველა სათამაშოს ხელით აკეთებდნენ!). ასწავლეთ ერთმანეთს, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ, მაგალითად, ქაღალდის ნავების, სხვადასხვა მასალისგან თოჯინების და ა.შ.
5. წარმოადგინეთ PPT-ში ჯგუფური (3-4 მოსწავლე) პრეზენტაცია თემაზე – „დინოზავრები საქართველოში“, რომლის მომზადება იმერეთის კარის მეორე გაკვეთილის შემდეგ დაიწყე.
   მომზადების საფეხურები:
   ა) შეადგინეთ პრეზენტაციის გეგმა.
   ბ) გაინაწილეთ ჯგუფში დავალებები გეგმის თანახმად.
   გ) შეაგროვეთ მასალა ინტერნეტის დახმარებით.
   დ) ასევე მოიძიეთ წიგნები დინოზავრებზე ბიბლიოთეკებში.
   ე) სთხოვეთ ინფორმატიკის პედაგოგს PPT-ში მუშაობის სწავლება. მანამდე, დაწერეთ ტექსტი და შეაგროვეთ ილუსტრაციები.
   ვ) გადაიტანეთ შეგროვებული მასალა სლაიდებზე და წარმოადგინეთ კლასში PPT-ში პრეზენტაციის სახით.
6. მე კიდევ ვფიქრობ...

წყარო 1. ეთნოგრაფიული მუზეუმი

წყარო 2. სათამაშოები